

# ქართული

№ 11 ნოემბერი 1964

619  
1964





თბილისი. 1964 წლის 7 ნოემბერი. სურათზე: ამხანაგები შ. ა. დოლიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. ი. კუჭავა, გ. ა. გეგუშიძე, გ. დ. ჭავჭავაძე, ვ. პ. მუჯანაძე, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჭანუყვაძე, რ. ი. ფრუიძე, ა. ნ. ინაური, ო. ე. ჩერქეზია მიესალმებიან დემონსტრანტთა კოლონებს რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.



ზეიმი თბილისში.

ფოტო ო. თურქიანის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


**როსია**

№ 11 (160) ნოემბერი 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

# ახალი უკრაინის ოსკომუნია



ადგა უველაზე დიდი საზეიმო დღე — საოქტომბრო დღესასწაული, — ამჟამად — ორმოცდამეშვიდე. ამ დღეს ახლა მთელს ჩვენს პლანეტაზე შეიმობენ.

მთავარი სადღესასწაულო აღლუმი კი მოსკოვის დიდებულ წითელ მოედანზე იმართება.

იცვლება დრო, იცვლება აღლუმების სახეცოდნეა ჩვენს მოედანებზე მწურობად მოაჭირი-თებდნენ ცხენებს სახელგანთქმული ბუდიონელები, მოგრაილებდნენ საბრძოლო ტანკები... მათ შიშვე, დარწმუნებული ნაბიჯით მოპყვებოდა მუშა ხალხი. მათი შრომით ხორცს ისხამდა გოგონას ზეგმა, მათს ზურს უკან ბოლავდნენ პირველი აღდგენილი ქარხნების მიღები, ბიბინებდნენ პირველი ნათესები, რომლებმაც საარაკოდ გაიხარეს მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონების ველ-მინდვრებში.

ზეცა კი ამ დროს იყო საოცრად წყნარი და თითქოს არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ადამიანთა სიხარულში.

გადიოდა დრო. ჩვენ ჩვენი ახალი სამუარო ავაგეთ. სადღესასწაულოდ მართულ მოედანებზე ახლა უკვე ფლოქების წარუნი კი არ ვაისმოდა, არამედ მძლავრი მუხლებების გრუხუნი და შიშვე ქვეშეთა ბორბლების რახრახი. ცას კი სერავდნენ იმ დროისათვის სწრაფმავალი საბრძოლო თვითმფრინავები. უოველივე ეს გამიწული იყო დიდი რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის. სამხედრო ტექნიკას, როგორც წინათ, ახლაც უკან მოპყვებოდნენ ადამიანები, ვალმობდილი მონავალი თაობების წინაშე. მათ უკან უკვე აპართული იყო მაგნიტის კორპუსები, კუზხის გიგანტები, ელავდნენ მრავალი ათასი მწით გაჩირადდებულნი დნებრობისი და ზაქისი. პორიზონტამდე გაწოლილიყვნენ აუვაგებულნი და ბარაქით სახენ ველები... პატარა ქალაქ კალუგაში კი მუშავდებოდა შორეულ სამუაროებში მოგზაურობათა განსაცვიფრებელი გემები.

იყო ისეთი დროც, როცა ჩვენს მოედანებზე გადაიგრუხუნა ჩვენი ხალხის წმინდა სამაშულო ოში — მკაცრმა, სამართლიანმა, ძლევაშობილმა. ამ ომში გამარჯვა ჩვენმა ხალხმა და მამაცმა საბჭოთა მებრძოლებმა მავროლდუმის წინ, მიწაზე დაუარეს დამარცხებული მტრის ურდოების სისხლიანი დროშები.

დადგა ორმოცდამეშვიდე ოქტომბერი. ჩვენს ქუჩებსა და მოედანებზე ჭირ გაიარა მძლავრმა საომარმა ტექნიკამ, რომელიც დამუხტული იყო ხალხის მრისხანე ძალით, მისი ზიზღითა და სიძულვილით ომისადმი. საბჭოთა ხალხის გონებამ და ხელდებმა შექმნეს ეს ძალა არა ომისთვის, არამედ შიხ წინააღმდეგ, მისი აღკვეთის მიზნით. წარმოიდგინეთ, ეს ძალა რომ არ უოფილიყო, რა გამაგებით ითარეშებდა უკვე დიდამიწაზე ვაშინგტონისა და ბონის კერებიდან ავარდნილი ომის ხანძარი!

როცა წეცაში ჩაიჭროლეს ზეჩქარმა თვითმფრინავებმა, უოველი საბჭოთა ადამიანის გული უდრმისი სიამაუის გრძნობით აღივსო იმის გამო, რომ უოველმა ჩვენგანმა კარგად იცის — ეს მძლავრი

ტექნიკა მტკიცედ უღობავს გზას უველა იმათ, ვინც ახალი ომის გაჩაღებაზე ოცნებობს. ჩვენ მოვალენი ვართ ვიწრუნოთ შეიარაღებაზე, ვიწრუნოთ მანამ, სანამ მოსოფლიოს ომი ემოქრება, ადამიანების სიცოცხლეს კი დადუბვა. ჩვენ, მოსოფლიო კულტურისა და პროგრესის მემკვიდრეები, პასუხს ვაგებთ არა მარტო საკუთარი კეთილდღეობისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის ზედ-იღბლისთვისაც.

საბჭოთა ქვეყანა, სოციალისტური ბანაკი, მთელი მოწინავე კაცობრიობა ახლა ეშაადება დიდი ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავისა და უკვდავი გენიოსის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად; ჩვენ მუდამ გვახსოვს პოეტის გულში ჩამწვდომი სიტყვები: „როცა ვამბობთ პარტია, ვგულისხმობთ ლენინს, და როცა ვამბობთ — ლენინი — ვგულისხმობთ პარტიას“. დიდმა ლენინმა აუნთო კაცობრიობას ნათელი და ბედნიერი მომავლის შუქურა. ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ ადამიანთა კუნთებისა და გენიის დიდი ქმნილებანი და ისტორია მეორედ დაიბადა ჩვენს ხელში; შიშვე და ძნელი იყო გზა პირველ შაბათობებიდან კოსმოსურ გაფრენებამდე, მაგრამ იგი უდრის მთელ საუკუნეებს არა მარტო ჩვენი წინსვლის მასშტაბებით, არამედ მისთვის დახარჯული ტიტანური შრომისა და აზრის მასშტაბებითაც. ოქტომბერი ქეშმარიტად ახალი ეპოქის კოსმოდრომს წარმოადგენს.

და აი ლენინის პარტიამ კომუნისმის ორბიტაზე გაიუვანა ჩვენი ქვეყანა, რომლის დროშაზე წარწერილია წმიდათაწმიდა სიტყვები: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და პედნიერება. ამ ორბიტას ჩვენ ვერავინ ვერასოდეს ვერ აგვაცდენს, ვერ აგვაცდენს იმიტომ, რომ ისტორიის ჩარხა წაღმა ტრიალებს.

ჩვენი ძალა და ბედნიერება სწორედ ის არის, რომ ჰირსა თუ ლიხინში ჩვენ მხარს გვიჭერენ მთელი მოსოფლიოს პარტიისანი ადამიანები, პირველ რიგში კი, კომუნისტები, რომლებსაც მეგობრობის უველაზე მაღალი და ერთგული გრძნობა ახსიათებთ. განა ამაზე არ მეტყველებს თუნდაც კრემლის კედლებზე ამოკვეთილი მგზნებარე ამერიკელის — ჯონ რიდის სახელი!

კომუნისმის ნათელი შუქი სულ უფრო და უფრო ძლიერად ეფინება სამუაროს. ქვეყნად ისმის „ხალხთ ბორკილის ხმა მტკიცისა“, ბოლო ეღება კოლონიალიზმს, კონტინენტებიდან ნელ-ნელა, მაგრამ დაუინებოთ მიცურავენ მისი ჩრდილები, როგორც ღანდები მინდვრების თავზე გაწაფხულის ქარით დაძრული დრუბებისა. მათ ეპოქის ქარი მიაქანებს დავიწყებისაკენ.

საბჭოთა კავშირი — კომუნისმის ქვეყანა მოსოფლიოს მილიონობითა და მილიონობით ადამიანისათვის გახდა „ჩვენი“, გახდა სამშობლო ხორცშესხმული ოცნებებისა. სწორედ ამიტომ არის, რომ მთელი სამუარო ახე სულგანაბული უხმენს დღეს ჩვენი ცხოვრების დიდებულ მუხიას, რომლითაც გრძელდება ჩვენი დღესასწაული — ამჟამად ორმოცდამეშვიდე!



## კონსტანტინა ლომია

გვახსოვს დღეები უგანთიად, რა შორს იყავი, მზეო დიადო!

გაწყროდი, როგორც თავისუფლება, რადგან სიბნელე ქვეყნად სუფთადა.

ვამბობდით — მზეო, სძლიე დრუბებში, მოგვხედე, თორემ დავიღუპებით.

შენი ცხოველი ძალა გვიჩვენე, ნუ იგვიანებ, ჩქარა გვიმშვედე...


უეცრად ცაში აფეთქდა ელვა, ვეღარ გაუძლო სინათლეს ბნელმა.

ძირს დაენარცხა ბინდი ძლეული, როგორც ყორანი ფრთებმომსხგრეული.

და შენ გაბრწყინდი, მზეო მაღალო, გამოაფხიზლე მთელი სამუარო.

და მოგვიშუშე იარა ძველი. და... იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი.

აფხაზურიდან თარგმნა ნუტა გაგაშანა.



1956



# მიწაში ჩადგმული გოლიათები

პირველი, რასაც თქვენ აქ დაინახავთ, ერთმანეთის გვერდით მიწაში ჩადგმული კასრები, მოდულუნე ქვევრები და მძინარე დევებივით მიწაში ჩადგმული უზარმაზარი ბუტები, რომლებსაც მაჭრის, ნიგვზისა და კიდევ რაღაცის საოცარი, დამაბრუნებელი სუნით უღიბთ. თუმცა ახლა კახეთის რომელი კუთხეში არ ტრიალებს ეს დოვლათიანი შემოდგომის სურნელი, ტრიალებს და იმითაც არის, აქეთ წამოსულ მგზავრს რომ ზოგჯერ გზას ურევს, ერთი სოფლის. მაგიერ მეორეში ამოაყოფინებს თავს. მერე ეს უურძნის ჯაგნებითა და ჩურჩხულებით მოხარატული აივნიანი სახლებიც როგორ ემსგავსებიან ამ დროს ერთმანეთს, გიჟვით, თვითონ მათ პატრონებსაც როგორ არ ეშვებოთ ისინი!

ჰოდა, ავევრია გზა, ვენახის ბოლოს, კაკლებქვეშ, მუხლში ქარის ამოსადებად ჩამოსხდარი გლეხები დიდხანს გვიხსნიდნენ, საით უნდა წავსულიყავით, მაგრამ ყველა ერთად ლაპარაკობდა და ვერაფერი გავუვით. ბოლოს ერთი მარჯვე კაცი გამოჩნდა, ხალხი გააჩუმა და მოგვიახლოვდა.

— ეს სოფელი ტიბაანია, — გაიშვირა ხელი მწვანეში ჩაფლულ კრამიტის სახურავებისაკენ, — ღვინის ქარხანა კი იქით არის, აი, იქით, ალვის ხეებისაკენ უნდა გადაუხვიოთ.

მერე მანქანისკენ დაიხარა და მზეზე გარუჯულ შავულვაშა სახეზე კბილები აეღვარა.

— გუგულისთან მიბრძანდებით? ჰო, ასე ვიპაბით სტეფანეს... იქ არის, იქ, ეს-ეს არის იქიდან ამოვიდი მეც.

სამტრესტის ტიბაანის ღვინის ქარხნის უფროსი მეღვინე სტეფანე ორჯონიკიძე ქარხნის ჭიშკრიდანვე დავიხსენით. ამ თხელ-თხელ, საშუალო ტანის კაცს არც გაუღიბია, ისე ჩამოგვართვა ხელი, მაგრამ ამ ხელის ჩამორთმევაში ისეთი გულთბილობა იგრძნობოდა, რომ ჩვენ მაშინვე შინაურებივით ვიგრძენით თავი. ჩვენ მას სწორედ მაშინ მივუსწარი, როცა ახალგაზრდა მეღვინეებთან — მარლენ ფერაქესა და თამაზ მჭედლიშვილთან ერთად — ღია ცისქვეშ ქვევრებში ტაბლის დადუღების პროცესს ამოწმებდა. ჩვენს შეკითხვაზე რატომ კასრებში არ აყენებთ ღვინსო, გუგულის ჩაიცინა და ჩამუხლებულმა ალერსიანად გადაუხვა ხელი მიწაში ჩამდგარი აბუტბუტებული გოლიათის პირს.

— როგორ არ ვაყენებთ, მაგრამ ქვევრებს უფრო ვწყალობთ, — ამოგვხედა მან ქვემოდან, — კახეთი მსოფლიოში ერთადერთი ადგილია, სადაც ღვინო მხოლოდ ქვევრებში უნდა დააყენო. ხის ბუტებში კი ღვინო უფრო ევროპულ გემო-ხასიათს იძენს. ახლა ჩვენ ას ორმოცდაათი ათასი დეკალიტრი ტევადობის რვაასი ქვევრი გვაქვს, მაგრამ მაინც არ გვყოფნის. ამიტომ ახალ მარანს ვაშენებთ, სადაც კიდევ ოთხასი ქვევრი ჩაიდგება.

გავემართეთ ამ მარანსაკენ. ქარხნის უზარმაზარი ეზო ხის ცარიელი კასრებით იყო სავსე, თუმცა რთველი უკვე თავდებოდა და უურძნით სავსე გოდრებით დატვირთული მანქანები უკანასკნელად-და მოგუგუნებდნენ გზებზე.

— წელსაც გვიტყუნა მოსავალმა, — გულნაკლულად ჩაილაპარაკა ორჯონიკიძემ, — ოთხი ათასი ტონის გადამუშავებას ვფიქრობდით, მოვემზადეთ დარა, ათას ექვსასიც აღმათ დიდ ვაჟაკობად ჩაგვეთვლება.

ქარხნის ეზოს მაინც არ ეტყობოდა ვენახების მოუსავლიანობა. მუშები გამაღებით რიცხავდნენ ქვევრებს, ეზიდებოდნენ კასრებს, წინვადნენ ჭაჭას. გზადაგზა გუგულის მითითებებს აძლევდა მათ, ზოგს კიცხავდა, ზოგს უწონებდა ნახეილავს, და იმის მიხედვით, თუ როგორ იდებდნენ მის შენიშვნებს ადამიანები, ადვილი მისახვედრი იყო, რაოდენ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მათში უფროსი მეღვინე.

ახალ მარანში ერთი ხორხოცი იდგა. გადამოსურულის ქვეშ ღრმად ამოთხრილ ქვაბულში მზეზე გარუჯული მკლავმაგარი ბიჭები უზარმაზარ ქვევრს დასჭიდებოდნენ და მის ფეხზე წამოყენებას ღამობდნენ. ქვევრი უძალიანდებოდა, მთვრალი კაცვით ტორტანობდა და ისევე მხარტძოვზე წამოსაწოლად იწევდა. ქვაბულში უკვე სწორი მწკრივებდა, ერთმანეთის მხარდამხარ იდგა რამდენიმე ათეული ქვევრი, რომელთაგან თვითეულში, სულ ცოტა, ოცი კაცი მაინც ჩაეტოდა. დააყენებენ ამ ქვევრებს, ქვაბულს მიწით ამოავსებენ, მერე სახურავამდე კედლებს ამოიყვანენ და კიდევ ერთი კარგი მარანიც მზად იქნება. მაგრამ გუგული წარბს იკრავს, ეტყობა რაღაც არ მოსწონს.

— სად არის უაჭრიშვილი? — გადასძახა ზემოდან ბიჭებს.  
— აქ ვარ, გუგული! — თავი გამოყო ქვევრის უკნიდან მაღალმა, შავგვრემანმა ბრიგადირმა.

— მერე, რას მიკეთებ, აქ რომ ხარ? რამდენჯერ გითხარი, ქვევრებს რომ ცემენტი შეუთლესავთ ძირებს, სანამ არ გაშრება, მიწა არ მიაყაროთ-მითქი. დაბენის დროს ხომ სულ ჩამოსცვივა სველი ცემენტი!


— კაცო, რა ვიცი, ვინ უთხრა ამათ მიაყარეთო! — გაჯავრდა უაჭრიშვილი და ბიჭებს დაუცაცხანა, ახლავე მოაცალეთ ქვევრებს მიწაო.

ქარხნის მეორე „სამშენებლო უბანი“ საექსპედიციო განყოფილება იყო. ახლა ამ განყოფილების მშენებლობა უკვე დამთავრებულიყო და გრძელ სამაქროში ჩამწკრივებული ოცდარვა ათასი დეკალიტრი ტევადობის ვეებერთელა ბუტები მოუთმენლად ელოდნენ ღვინის პირველ პარტიას. სამაქროს ზემოთ, მეორე სართულზე კანცელარია, სადაც გუგული მხოლოდ მაშინ შედის, როცა სხვადასხვა ანგარიშებისა და დოკუმენტების შედგენა უხდება. არა და, დღე ისე ღამდება, რომ გვერდიდან არ სცილდება სამაქროში მომუშავეებს, უფრო კი მაშინ, როცა უურძნის მიღება და მისი ამოსვლაც გაცხარებულ შრომაში უსწრებს ამ კარგ საქმეზე შეყვარებულ ადამიანებს.


## რატომ გაუშრა ზეინაბი


როცა სულერას მოუსხდებოთ და ქარვისფერი „ტიბაანის“ ბიჭებს შეავსებთ, არ შეიძლება გულში მაინც არ დალოცოთ ისინი, ვისი გარჯითა და მეცადინეობით მზე და სხარული მინდო იხადურებს თქვენს ჭერ ქვეშ!

ოცდახუთ წელიწადზე მეტია, რაც ტიბაანის ღვინის ქარხანა არსებობს და ამ ხნის მანძილზე წელიწადი არ ყოფილა, რომ მის კალექტის თავი არ ესახელებინოს და ქვეყნისათვის მშვენიერი, მაღალხარისხოვანი ღვინო არ მიე-



— აბა, ერთი ქვევრის „ტიბაანი“ გასინჯეთ! — ამბობს უფროსი მეღვინე სტეფანე ორჯონიკიძე.





ტიბანი. ღვინის ქარხნის ეზოში.

ცემენტის ბუტების ამ ბატარიიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება უკვე დაღუპული ტბილი.

წოდებინოს. მით უმეტეს ახლა, როცა ქარხანა ფართოვდება, მხრებსა შლის და როცა უფროს მეღვინედან რიგით მუშაიმდე ძალ-ღონეს არავინ იშურებს ამ საქმისათვის.

პირველად ქარხანა გადასამუშავებლად ორას-სამას ტონა ყურძენს იღებდა, ახლა ოთხი ათას ტონას იღებს, ორ-სამ წელიწადში კი ათი ათას ტონამდე ყურძენს გადასამუშავებს. პერსპექტივა დიდია. დიდია ღვინის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობაც. ამ ორიოდ წლის წინათ ხარისხოვანი კახური თეთრი ღვინის დაყენებისათვის ორჯონიკიძემ საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და სამტრედიის საპატიო სიგელი მიიღო. შარშან კი პირველი პრემია — ოქროს საათი. ეს ჯილდო ქარხანაში ისე მიიღეს, როგორც საერთო შრომის ღირსეული შეფასება.

ამიტომაც იყო, რომ ქარხნის ქიმიკოსმა ზეინაბ იასევილიმა ერთ მშვენიერ დღეს განგაში ატეხა. წნოორის ხეხილის სანერგე მეურნეობას უკონდიციო ყურძენი გამოეგზავნა და მეურნეობის აგრონომი მაისაშვილი ჯიუტად მოითხოვდა მის მიღებას. საქმე ის არის, რომ „ტიბანის“ მარკის ღვინისათვის ყურძენის შაქრიანობა ოცდაორ პროცენტს მაინც უნდა აღწევდეს, არა და უამისოდ მისი ხარისხი ეცემა და ეკარგება ყველა ის თვისება, რითაც ამ ღვინომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

— ჩვენ ამ ყურძენს არ მივიღებთ — ჯავრობდა ზეინაბი, მაისაშვილი კი ხელს ურევდა ისრით სავსე გოდორში და უსაფუძვლოდ განაწყენებული კაცით იჩერდა მხრებს.

— ვერ გამოიგია, რა აქვს დასაწუნი ამ ყურძენს, წყალში ხომ არ გადავყრი, კაცი!

— რა მოხდა, ზეინაბ, რაზე ცხარობ? — მივიდა გაგულისებულ ქალთან გუგული.

— აი, სანერგე მეურნეობის ვენახიდან ყურძენი მოიტანეს. შაქრიანობა ჩვიდმეტ პროცენტსაც არ აღემატება და გინდა თუ არა, მიიღეთო. არ მივიღებთ! — მიუტრიალდა ზეინაბი აგრონომს, — ამაზე მეტი უპასუხისმგებლობა რაღა გინდათ, არ იცით, ამ მკვახე ყურძენიდან რა ღვინოც დადგება?


ორჯონიკიძის მშვიდ თვალბზში რისხვის ნაბერწყლებმა იფეთქეს.

— აი რა, გარსევან, — წყნარად უთხრა გუგულიმ, — ზეინაბი მართალია. რა ღმერთი გაგიწყრათ, რამ დაგაკრეფინათ ეს ყურძენი! სადაც გინდა იქ წაიღეთ. იცოდეთ, სანამ ერთი კვირა მაინც არ გავა და ყურძენი გვარიანად არ შემწიფდება, ერთ მარცვალსაც არ მივიღებთ თქვენგან.

ყურძენის მიღების პერიოდს ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო პერიოდი. ადამიანები ამ დროს ქარხანაში აღამებენ და ათენებენ. ქარხანაში აღამებს და ათენებს ორჯონიკიძეც. და როცა ეს საშემოდგომო ციებ-ცხელებაც მინელდება, უფროსი მეღვინე გულდამშვიდებით მიეშურება კარდანახისაკენ, სადაც სახლი აქვს და ოჯახი ჰყავს. თბუთმეტი წელი მეღვინედ მუშაობს გუგული, აქედან მეშვიდე წელია ამ გზაზე დადის, დადის იმ ნათელი შეგნებით, რომ სადაც საზეიმოდ გაშლილ სუფრებზე გულმოლხნილი ადამიანები თბილი გრძნობით ლოცავენ მისი და მისი მეგობრების მარჯვენას.

**დამარჩინეს მარანში**

გურჯაანს რომ გასცდები და მუკუშნის ღვინის ქარხნისაკენ გაუხვევ, გზის ახლოს ძველ ნანგრევებს დაინახავ. ოდესღაც აქ სასახლე იდგა და შიგ მეფე ერეკლეს მეუღლე დედოფალი დარეჯანი ცხოვრობდა. ახლა ამ სასახლისაგან მარტო მარანია დარჩენილი, რომელსაც ხალხი ახლაც „დამარჩინეს“ ანუ მეფის



მარინად მარანს ეძახის. მარანში ოცდაცამეტი ქვევრია და ამ ქვევრებში მუკუნელები დღესაც № 8 კახურ ღვინოს აუენებენ. მარანს ზემოდან ქარხნის ახალი კორპუსი აქვს დაშენებული.

— მეფე ერეკლეს რომ ჩვენი ახლანდელი ღვინოები ესვა, იქნებ არც დაბერებულყო, — ხუმრობს ქარხნის დირექტორი ვალერიან შავგულიძე, — ჭერ მარტო „ახაშენი“, „მუკუნაი“, „გურჯაანი“ და „საფერავი“ იქითხეთ.

მარტოვად და, ახა რა მოსატანია დამარჩინეს მარანი ამ ბუმბერაზ ქარხანასთან, რომელსაც ერთ სეზონზე 7.500 ტონა ყურძნის გადამუშავება შეუძლია. მერე მანქანა-დანადგარებს არ იკითხავთ! სხვა არა იყოს რა, მარტო ხელოვწერი პოლუსი რად ღირს. პოლუსიო? გაოცდება ალბათ საქმეში ჩაუხებლავი კაცი. რას იზამთ, თუ კი ისეთი დიდებული ღვინის დასაუენებლად, როგორც „ახაშენი“, თითქმის პოლარული სიცივეა საჭირო.

ახალგაზრდა მეღვინე შალვა მაისურაძე მძიმედ აღებს ღრმა ხარდავის ორმაგ კარს. გაყინული ბაერი შეკუმშული ტაღლასავით გეცემთ სახეში და წამით ხულს შეგიხუთავთ. შედიხართ ხარდავში და გაოცებული თვალს ვეღარ აშორებთ თოვლითა და ყინულის ღოღლეებით დაფარულ კედლებს. ამ კედლების გაყოლებით ერთმანეთზე, რამდენიმე რიგად კასრებია დალაგებული, რომელთა შორის თბილ ქურქსა და ბეწვიან ქუდში გამოწყობილი მეღვინე გიორგი ვიაცილი პოლარული მკვლევარისვით უპირატესებს რადაცას.

— აქ ახაშენის მასალაა, — გვიხსნის ვიაცილი, — იგი ჩანებში იწურება. დადუღებისას მასში რჩება დაუშლილი შაქარი. ამის შემდეგ მას აქ მაივიარში გადამოიტანენ, სადაც სიცივის გავლენით სწრაფად ჩერდება დუღილის პროცესი, თერმობით დაშუშავების ანუ პასტორიზაციის შემდეგ კი, როცა საფუარი ბაცილები დაიხოცებიან, ჩამოსახმენ და ბაზარში გაიტანენ.

ყველაფერი ეს საინტერესოა, მაგრამ ასეთ სიცივეში დგომა უკვე შეუძლებელია და თქვენც საჩქაროდ მიემართებით გასასვლელისკენ. გარეთ თბილა, შემოდგომის მზე ციმიციმებს ხარდავებიდან გამოშავალ მინის მილიებზე, რომლებშიც უწყვეტ ნაკადად მოედინება წითელი და თეთრი ღვინო, შემდეგ ალტაცებაში რომ მოიყვანს როგორც ჩვენი ქვევრის, ისე უცხოელ მომხმარებელს.

### გედღამეზვარი ცენტროფუგი

ეს ამბავი კარგა ხანია გრძელდება. ცნობილია, რომ ღვინის დაწმენისა და დაქველების პროცესში კარგა ბლომად რჩება ლექი, რომლიდანაც საუკეთესო ღვინის მუყაა და ეთილის სპირტი მიიღება. უძველეს დროიდან დღემდე ამ ლექისაგან ღვინის გაწმენდას მეღვინეები მთელი თვეების მანძილზე უდიდეს შრომას აწარმოებენ, თანაც, ეს საშუალო მეტად პრივილეგიულად — ტილოს ტარებში ლექის გაწმენდას ტარდება, რაც იწვევს დიდ დაზარალებას, ხარკებს და პროდუქციის თვითღირებულებას გადიდებას. ამასთან, ლექს თან მიყვება ღვინის დიდი რაოდენობა, მთლიანად იკარგება ლექში არსებული სპირტი და შაქარი. ყოველივე ამის გამო სამტრესტის ღვინის ქარხნებს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი მანეთის ზარალი მოხდით.

და აი, მუკუნის ღვინის ქარხნის მეღვინე გიორგი ვიაცილიმ ღვინის ლექის დასაშუშავებლად შექმნა მეტად მარტივი აპარატი — ცენტროფუგი, რომლის მეშვეობითაც ლექისაგან ღვინის გაწმენდას და ამ ლექის დაშუშავებას თვეების ნაცვლად თხუთმეტობედ წუთი სჭირდება.

ქარხნის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილ იქნა კომისია, რომელმაც მოიწონა ვიაცილის გამოგონება. ამის შემდეგ გამოყოფილ იქნა სამტრესტის კომისიაც, რომელმაც დაასკვნა, რომ ვიაცილის ცენტროფუგი მისაღებია და რომ მისი წარმოებაში ფართო დანერგვით მიღწეულ იქნება ღვინიდან ლექის დროული მოცილება, ისე, რომ ლექს ღვინის მინიმუმშიც კი არ გაყვება. ეს კი მნიშვნელოვანად გაზრდის ყურძნიდან ღვინის გამოსავლიანობას. სამტრესტის კომისიამ აღნიშნა, რომ ამ ცენტროფუგით თავიდან იქნება აცილებული ის უსაზღვრო ხარკები, რასაც იწვევს ორი-სამი თვის განმავლობაში თხევადი ლექის შეგება-მოწურვა, გამარტივდება უტილიზაციის პროცესი, ამაღლება ღვინის ხარისხი და გაუმჯობესდება დამუშავების ჰიგიენური პირობები. ყოველივე ამის შემდეგად, როგორც გამოანგარიშებულ იქნა, ვიაცილის ცენტროფუგის დანერგვით სამტრესტის ღვინის ქარხნებს ყოველწლიურად შეუძლიათ მიადგინონ სამ მილიონ ორასი ათას მანეთზე მეტი ტერმინი. თქმა არ უნდა, გვარაიანი თანხა!


მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცენტროფუგის დამზადებას სამტრესტის ხელმძღვანელები მეტად იოლ საქმედ თვლიან, მისი ბედი დღემდე მანაც გადაუწყვეტილია. აი უკვე რამდენი წელიწადია, რაც ვიაცილი უშედეგოდ იბრძვის იმისთვის, რომ მისი ცენტროფუგის თუნდაც ერთი საცდელი ეგზემპლარი დამზადდეს საქარხნო წესით, მაგრამ მისი ყოველგვარი შეცადინება უშედეგოდ მთავრდება.

იქნებ იმიტომაც გააჰიანურეს თავიანთ მიერვე მოწონებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რომ სადაც კიდევ არსებობენ ასეთი ცენტროფუგები, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ისინი ჭერ კიდევ არ არიან იმდენად სრულყოფილინი, რომ ლექისაგან სათანადო რაოდენობით გამოადინონ ღვინო, ხოლო თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არ შეიძლება იმ ცენტროფუგების ჩვენი ღვინის ქარხნებში დანერგვა, თუ კი ამდენი ხარკებელი მოაქვთ საქმისათვის? ეტყობა, მათი ნაკლი კარგად არის ცნობილი სამტრესტის სისტემაში, თორემ ასეთი საქმისაგან უკან ვინ დაიხევდა.

აწყვია გიორგი ვიაცილის ნახაზები, მოხსენებები, სხვადასხვა კომპეტენტური კომისიების დასკვნები, აქტები და ელოდებიან პასუხს.

პასუხი კი აუცილებელია!

ამირან ქუჩაშვილი



ცნობილია, რომ ვაზის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად კერად აღიარებულია საქართველო; წარსულში ქართველი ხალხის ეკონომურ ძლიერებაში უდიდეს როლს შეეძინა და მეღვინეობა ასრულებდა; საქართველოს მევენახეობის კულტურის საგანძურს წარმოადგენს მის მრავალფეროვან ჰავასა და ნიადაგობრივ პირობებთან შეგუებული, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული 500-მდე სახელწოდების ვაზის ჯიშნი.

უკანასკნელ წლებში მევენახეობამ და მეღვინეობამ, როგორც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესმა დარგებმა, დიდი განვითარება პოევეს.

საქართველოს ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დასახულია ამოცანა 2-3 წელიწადში კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების ფართობის მკვეთრი გადიდებისა; ამიტომ, ყოველწლიურად, საზოგადოებრივ სექტორში, რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი ვენახები შენდება.

საქართველოს მევენახეობა ძირითადად ხარისხიანი მეღვინეობის მიმართულებითაა; ქართულმა სამარტო ღვინოებმა დიდი ხანია მსოფლიო აღიარება დაიმსახურეს; ვინაიდან ღვინის ხარისხი დიდადა დამოკიდებული ვაზის ჯიშზე, ხოლო ისინი სასურველი ხარისხის მასალას მხოლოდ თავის შესაფერის გარემო პირობებში იძლევიან, ვენახის გაშენების დროს ჯიშების სწორად შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეღვინეობისათვის, რასაც ყველგან ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება და ვენახების გაშენება ხშირად ხდება შეუფერებელი ჯიშებით.

უკანასკნელ დროს კახეთის რაიონებში ვენახები დიდ ფართობებზე შენდება ჩინურის ჯიშის ვაზით, კახეთის საბჭოთა მეურნეობებში ამ ჯიშის ვენახებს 100 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს.

ჩინური თავისი გავრცელების ადგილზე — ქართლში ძირითადად იძლევა ადგილობრივი მომხმარებლის სუფრის ღვინოებს, სამამბაზურ ღვინის მასალას და მოიხმარება როგორც სუფრის ყურძნი. ასეთივე თვისებებს იჩენს იგი კახეთის პირობებშიც; რასაკვირველია, ასეთი თვისებების მქონე ჯიშის შეტანა ხარისხიანი მეღვინეობის კლასიკურ რაიონში — კახეთში, არა სწორია, რადგანაც იგი მეტოქეობას ვერ გაუწევს კახეთის ისეთ უნივერსალურ ჯიშებს, როგორცაა რქაწითელი, ყველაზე ნაზი და არომატული ღვინოების მომცემი მწვანე და სხვები. მაშ რა საჭიროა კახეთში ამ ჯიშის ვაზის გავრცელება, როდესაც აქ ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან შეგუებული ასეთი ძვირფასი ჯიშები მოიპოვება.

უფრო მეტად გაუმართლებელია კახეთში ისეთი ჯიშის შეტანა, როგორცაა სასუფრე ბულგარული ჯიშის კარა-ბურნო, რომელიც მნიშვნელოვან ფართობზეა გაშენებული მუკუნის და ხირსის საბჭოთა მეურნეობებში; კახეთში სასუფრე ყურძნის ჯიშების დიდი რაოდენობით გაშენება მიზანშეწონილია. სუფრის ყურძნის წარმოებისათვის საქართველოში საუკეთესო ბუნებრივი პირობები ქვემო-ქართლის მევენახეობის რაიონშია, რომლის მდიდარი და ნოყიერი ნიადაგები, სარწყავი წყლის სიუხვე და დიდი სიბოთ ხელსაყრელ პირობებს ქმნიან სუფრის ყურძნის სამრეწველო მასშტაბით წარმოებისათვის.

საქართველოში უკანასკნელ დროს დიდი გავრცელება პოევა ზემო აღნიშნულმა ჯიშმა; მართალია, იგი მაღალმოსავლიანია და კარგად ეგუება აღმოსავლეთ საქართველოს გარემო პირობებს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი კართველ მომხმარებელია შორის, რომელიც მრჩეულია, ტკბილა და არომატულ ქართულ ყურძენს, მოწონება დაიმსახურეს აღნიშნულმა ჯიშმა, რომლის უარყოფითი, სრულ სიმწიფემდე კი, იმდენად მტკავა, რომ იგი უფრო ქლიავსა ჰგავს და არა ყურძენს.

საქართველო, მიუხედავად ვაზის ჯიშების სიმრავლისა, ძალზე ღარიბია სასუფრე ყურძნის ჯიშებით, მაგრამ არსებულ ზოგიერთ საუკეთესო თვისებების მქონე ჯიშებს არ ექცევა სათანადო ყურადღება და ჩვენი მევენახეები სასუფრე ჯიშებს საზღვარგარეთ და სხვა რესპუბლიკებში ეტყენ. თითქმის გადამწყვეტად მისულ შესანიშნავი ქართული სასუფრე ყურძნის ჯიშს გორულა ანუ გლდანურა. ამ ჯიშის ყურძენი ხასიათდება მტკენის სილამაზით, მარცვლის ზოციანობით, სასიამოვნო გემოთი და ქარვისფერი შეფერვით, კარგი ტრანსპორტაბელობით და დიდხანს შენახვის უნარიან; ამ ჯიშის ვაზი ძლიერ ზრდისა და უხვმოსავლიანი. სოფ. გლდანში ამ ჯიშის ყურძენს თითქმის მასის თვემდე ინახავენ; მიუხედავად სუფრის ყურძნისათვის საჭირო ასეთი საუკეთესო თვისებებისა, ამ ჯიშის მხოლოდ ერთეული ვაზებია დარჩენილი გლდანის, დიღმისა და ციხეთის რაიონის ზოგიერთ სოფლებში; საჭიროა კი სათანადო ყურადღება მიექცეს ამ შესანიშნავი ჯიშის გავრცელებას.

ასეთივე მდგომარეობაშია შესანიშნავი კახური ყურძნის ჯიშის ხისვი; ხისვის ყურძენი-საგან დაყენებულ ღვინოს სასიამოვნო ჯიშური არომატი, ნაზი და პარმონიული გემო და სხვა მაღალი ღირებუები ახასიათებს; მიუხედავად ამისა, ამ ჯიშის ვენახებს მთელ საქართველოში მხოლოდ 50 ჰექტარი უჭირავთ.

იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად პავისა და ნიადაგობრივი პირობების თავისებურებამა გაუთვალისწინებლად ხდება ზოგიერთი ჯიშების შემოტანა, მინდა მოვიყვანო საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მაგალითი. ამ მეურნეობაში დიდი რაოდენობითაა გაშენებული ფრანგული წარმოშობის ჯიშები — შავი პინო, შარდონე და სემილიონი; თავის სამშობლოში და საქართველოს ზოგიერთ რაიონში ეს ჯიშები კარგ მოსავალსა და შესანიშნავ ღვინოებს იძლევიან, მაგრამ ცნობილია, რომ ციხესა და ტენიან პირობებში, აგრეთვე მძიმე თიხნარსა და კირით ღარიბ ნიადაგებზე ეს ჯიშები ვერ ამართლებენ იმედებს; სწორედ ასეთი არასელსაყრელი პირობების ბრალია, რომ ამ მეურნეობაში სემილიონის მოსავალი, თვითველ ჰექტარზე არ აღემატება 5-8 ცენტრებს, შარდონესი — 11-17 ცენტრებს და შავი პინოსი — 12-18 ცენტრებს; ასეთი მცირე მოსავალი, რასაკვირველია, ნაწილობრივადაც ვერ ანაზღაურებს ვენახის მოვლა-დამუშავება-



მუკუჯანი. მანქანები ერთი-მეორეზე მოდიან.

ზე გაწეულ ხარჯებს, მაშინ როდესაც ამავე მეურნეობაში ადგილობრივი ჯიშები — ციქა, ქვიშური, ძელხაფი და სხვა — შესანიშნავ მისაგავს იძლევიან. ასეთი წესით ვაზის ახალი ჯიშების შემოტანა ზიანის მეტს არაფერს არ მოუტანს საქართველოს მევენახეობას.

ხშირად უხეზად ირღვევა აუცილებელი აგროტექნიკური მოთხოვნები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სახერხე მეურნეობებში; როგორც წესი, სანამყენე ანუ საკვირტე მასალის დამზადებამდე აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ვაზების წინასწარი შერჩევა ანუ სელექცია, რათა საკვირტე მასალა აღებული იქნას მხოლოდ ისეთი ვაზებიდან, რომელთაც ახასიათებს ჯიშობრივი სიწმინდე, ჯიშისათვის დამახასიათებელი ხარისხი, კარგი მოსავლიანობა და ნორმალური ზრდა-განივითარება.

ასეთი სელექცია სრულყოფილად თითქმის არსად არ ტარდება და საკვირტე მასალის აღება ხდება წინასწარი შერჩევის გარეშე, რის გამო უკანასკნელ წლებში გაშენებულ ახალშენ ვენახებში დიდი რაოდენობით სხვა ჯიშის ვაზებია შერეული.

ცნობილია, რომ ვაზის ჯიშების ავადმყოფობის მიმართ სხვადასხვა გამძლეობის უნარს იჩენენ: მაგალითად, ხისვი და კანური მწვანე, შერეული რქაწითელში, ადვილად ავადდებიან ნაცრით და ნაკლებ მოსავალს იძლევიან, ხოლო სხვადასხვა ფერის მქონე ყურძნის ჯიშების შერევისას (რაც იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს), ერთად დაკრეფის დროს უარესდება ღვინის ხარისხი და ფერი, ხოლო ცალ-ცალკე დაკრეფა მოითხოვს ზედმეტ მუშაველს.

საქართველოს მევენახეობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და ვაზის მოვლა-პატრონობის ოდიოზან დანერგული ჩვევები აქვს. მით უფრო ვერ შეუვრცხვდებათ იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ახალი ვენახების გაშენების დროს.

კარგი წესია დანერგული ახალი ჯიშების შემოტანისა თავთავიან და სხვა ერთწლიან კულტურებში: ყოველი ახალი ჯიშის, ამა თუ იმ რაიონში გავრცელებამდე, აუცილებლად გადის ორ-სამწლიან შემოწმებას ჯიშთა გამოცდის სპეციალურ ნაკვეთებზე და მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი მოცემული რაიონის ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში გამოამტკიცებს სასურველ თვისებებს, ხდება მისი გავრცელება.

ასეთი წესი ახალი ჯიშის შემოტანისა, პირველ რიგში, საჭიროა მევენახეობაში, რათა ამა თუ იმ ჯიშის გავრცელებას რეკომენდაცია ეძლეოდეს მცირე ფართობზე, რამდენიმე წლის გამოცდის შემდეგ.

აგრონომი  
დავით ნატროშვილი

ცნობილ ქართველ პოეტს ალექო შენგელიას დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

ალექო შენგელია სამწერლო ასპარეზზე ოცდაათიან წლებში გამოვიდა; მისი პირველი ლექსები ყურადღების იქცევდნენ პატრიოტიზმისა და ადამიანისადმი სიყვარულის მაღალი კეთილშობილური გრძნობებით; ალექო შენგელიას მთელი პოეზია გამსჭვალულია მღვლეარე ლირიზმით, აღსავსაა მძაფრი და ორიგინალური სახეებით, დიდი შინაგანი სიბოლოთი. ყოველივე ამის გამო ალექო შენგელიამ დაიპყვინტა ღირსეული ადგილი ქართული პოეტური სიტყვის ოსტატთა შორის.

ალექო შენგელიას სახელს კარგად იცნობენ ჩვენი მკითხველები არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. და ეს იმიტომ, რომ პოეტმა შესძლო გამოესატა სულიერი სამყარო ახალი საბჭოთა ადამიანისა, რომელიც გაბედულად იპყრობს მანამდე აუღებელ მწვერვლებს; შემთხვევითი როდი იყო, რომ ჩვენმა პირველმა სახელთაგანმა კოსმონავტმა იური გაგარინმა თავის საყვარელ წიგნებს შორის დაასახელა ალექო შენგელიას ლექსების კრებული.

ალექო შენგელიას ლექსები „სიცოცხლის სიმღერა“, „ანდერძი“, „მთების ჩქურთმა“, „ქიშნო ადამიანს“, „დავალ ამაყი“, „სიყვარული“, „ლენინის ქალაქი“, „ტიმონინოლი სტუმრები კრწანისში“ და მრავალი სხვა — საბჭოთა ლირიკის საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვს ეკუთვნის.

„დროშის“ რედაქცია ულოცავს პოეტს დაბადების 50 წლისთავს და უსურვებს ახალ წარმატებებს შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე.



მეგობრული გიგლიოთია

ალექო შენგელია

მოგზაურობა გავშვობაში

შენს ლურჯ ბაღებში მოვედი,  
და ჩემს თეთრ დღეებს ვიგონებ,  
შენთან რაც ღიმილს ვტოვებდი,  
ახლა ვკრეფ როგორც სტრიქონებს.

აგერ ბუჩქნარი აშლილი,  
ტყე რომ მეგონა უღრანი,  
ფეხზე მეხვევა ბავშვივით,  
ჩემი ბავშვობის მუხნარი;

ჩემი ოცნების ხენაკო,  
ჩემი მაჭრობის ვენახო,  
გზამ შენსკენ ვეღარ დამლალა,  
ვეღარ დამძლია ჭალარამ!

წინ სკოლა გასხვივონდება,  
ვიჩქარი წინანდებურად,  
ჩემს მერსზე როგორც ოცნება, —  
სხვა თვალი განათებულია!

დავდივარ შენი შუკებით,  
ჩემი ბავშვობის გზაწვრილით,  
შენ რომ ოცნებას უქებდი,  
ის კაფანდარა ყმაწვილი!

ჩემი ოცნების ხენაკო,  
ჩემი მაჭრობის ვენახო,  
გზამ შენსკენ ვეღარ დამლალა,  
ვეღარ დამძლია ჭალარამ!..

საორბული მატინის ფურცლები

დაუსტრომლად ჩქეფს და მოედინება ჩვენი „ნაკადული“; მის ტალღებს უოველდღე მოაქვს მკითხველამდე რაღაც ახალი და მეტად საინტერესო; „ნაკადულმა“ ახლახანს კიდევ ერთი კარგი აღმანახი შეხიძინა მკითხველის წიგნის თარვს — ეს გახლავთ კრებული „ინიანი“, რომელიც მოიცავს ნარკვევებს, მოთხრობებს, ლექსებს, მეგობრულ შარუებს სპორტულ ცხოვრებაზე. აქ მკითხველის წინაშე წარსდგებიან სპორტის ოსტატებიც და სიტყვის ოსტატებიც, მაყურებელნიც და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებიც, აქ ჩვენ ვეცნობით ადამიანებს, ვინც არა ერთგზის ახახელა ქართული სპორტი ხაერთაშორისო ასპარეზზე.

აღმანახში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პირველი განყოფილება — სპორტული მატინის ფურცლები; პირველივე ნარკვევში, რომელიც ალ. კეკელიძის ეკუთვნის, მოთხრობილია როგორ განახლდა ჩვენს დროში ოლიმპიური თამაშები და ყოველი მორიგი ოლიმპიდა როგორ აღმოაჩენს ხოლმე ახალ ვარსკვლავებს.

მომდევნო ნარკვევები მოგვითხრობენ პენალტის ოსტატზე — მიხეილ ბერტინიშვილზე, თბილისის დინამოს პირველ კაპიტანზე — შოთა შავგულიძეზე, ბადროს მტყორცნელებსა და კალათბურთელებზე, ჩვენს შესანიშნავ მოჭადრაკე ქალღებზე, სახელგანთქმულ ქართველ მოჭადრაკეებზე და სხვ.

სპორტის სფეროში ყოველდღიურად ხდება რაღაც ახალი და წიგნის შემდგენელებს ეს კარგად გაუთვალისწინებიათ. საყურადღებოა ს. პოპოვის ნარკვევი, სადაც აღნიშნულია, რომ სპორტს დღეს დახმარების უწევს მრავალი დარგი მეცნიერებისა, მათ შორის, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მექანიკა და კიბერნეტიკა. მეცნიერებს შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ და კიდევაც აკეთებენ სპორტის პროგრესისათვის.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოადგენილია მხატვრული ნაწარმოებები სპორტულ თემაზე. დიდი ზომისის შემდეგ აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ჯეკ ლონდონის „მექსიკელი“. ეს მართლაც შედევრია, ბრწყინვალე ნაწარმოებია, რომელიც მუდამ გაიტაცებს მკითხველს. კითხულობთ ამ მოთხრობას და თქვენ თითქოს რინგსა ხედავთ, თითქოს მაყურებელთა დარბაზში ვადადინართ, ისე პლასტიკური, შთამბეჭდავი და ცოცხალია აქ ყოველი ფრაზა. აქ სპორტი და, კერძოდ კრივი, უბრალო გასართობი კი არ არის, მძაფრი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზა. შემდეგ აქვე წარმოდგენილია თანამედროვე ქართველი მწერლების მოთხრობები სპორტის თემაზე.

მთელ კრებულს უფრო მეტად ხაზსხეობს იუმორის განყოფილება — ლიტერატურული პაროდები, რომლებიც რომან მიმინოვილს ეკუთვნის.

ალ. სიგუა

უკხინო, იქი 1964 7



# ქართული



# გაზეთი

ამ დროს მესაზღვრებმა უკვე ამოიღეს ხიდის ბურჯები ჩადებული ნაღმები და მდინარეში გადაყარეს.

ტანკისტებმა სარდლობას რადიოთი აცნობეს, რომ გზა ხსნილი იყო. არმიის მთავარი ძალები უკვე მოემართებოდნენ ხიდისაკენ, მაგრამ მტერი კვლავ ახლოს იყო, ავტოკოლონისა და ხევრი გადარჩა. მათ თავი შეაფარეს სადგურ მარცნიკოვიცეს, სადაც თავმოყრილი იყვნენ ადრე უკან დახეული ჯარის ნაწილები.

როგორ აღიკვეთათ მოსალოდნელი საფრთხე? ილია ტატიშვილმა გადაწყვიტა დაესწრო მტრისთვის და თვითონ დასხმოდა მას თავზე. ტატიშვილმა ამის შესახებ აცნობა ჩუბილოვს, რომლის ტანკი ხიდს აღმოსავლეთის მხრიდან იცავდა, და თავისი ტანკით, რომლის კორპუსზე ექვსი მწვერავი შემოიხსა, კურსი სადგურ მარცნიკოვიცესაკენ აიღო. ამას მტერი, რა თქმა უნდა, არ მოელოდა.

რკინიგზის სადგურის სავსე იყო მატარებლებით, ჰიტლერელებს, უკვე მოემზადებინათ გასაგზავნად ორი ეშელონი. ტატიშვილის ტანკი შეუმჩნევლად მიუახლოვდა სადგურს და ქვემეხებისა და ტუყიამურქვეების ცეცხლი დაუშინა მას. ზედიზედ ფეთქდებოდნენ ორთქლმავლები, ცეცხლში გაეხვია ცისტერნები, საბარგო და სამგზავრო ვაგონები, საომარი საჭურველით დატვირთული პლატფორმები, გამაყრუებელი გრიალით სკდებოდნენ ვაზნები, ჭურვები, ნაღმები და ანგრევდნენ ირგვლივ ყველაფერს.

სადგურზე საშინელი პანიკა დაიწყო. საბჭოთა მეომრები კვლავ დაბრუნდნენ ამხანაგებთან, რომლებიც ფხიზლად იცავდნენ ხიდს.

გათენებამ ბერი უსიამოვნება მოუტანა ერთ მუშა მამაცებს. ჰიტლერელებმა ოთხჯერ მიიტანეს ხიდზე იერიში, რათა ხელთ ეგდოთ იგი და დაუბრკოლებლად გადასულიყვნენ გალმა, მაგრამ ოთხჯერვე დიდი დანაკლისით დაიხიეს უკან. ბოლოს მოწინააღმდეგე იძულებული გახდა მიეტოვებინა მძიმე ტექნიკა, მთელი შეიარაღება და დასრულდა მეორე ნაპირზე ყინულებით გადასულიყო. ტანკისტებმა რადიოთი მიიღეს სასიხარულო ცნობა, რომ ჩვენი მთავარი ძალები ხიდს უახლოვდებოდნენ. მალე ჩვენი ჯარების კოლონები გამემართნენ მდინარის მეორე ნაპირისაკენ გაქცეული მტრის დასაწევად.

არმიის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა, აშუამალ საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა ს. კ. მოსკალენკომ მადლობა გადაუხადა მამაც მეომრებს; ამ ბრძოლებში თავი ისახილეს ი. პ. ტატიშვილმა, ი. ა. ჩუბილოვმა, ვ. ი. უდარცევმა, ა. ვ. კარასოვმა და კ. ვ. შეველიოვმა.

ამას წინათ საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. მოსკალენკო შეხვდა თადარიგის გვარდიის კაპიტანს ილია ტატიშვილს. მარშალმა არაჩვეულებრივი სიზუსტით გაიხსენა ზემოთ აღწერილი სასახლო ბრძოლების ყველა ეპიზოდი. დიდხანს უსაუბრა მარშალი თავის მამაც ჯარისკაცს და ბოლოს ეს უთხრა:

— დღეს ჩვენ მშვიდობის გუშაგები ვართ და არავის მივცემთ ნებას კვლავ ატეხოს ომის ქარცეცხლი... ამ მშვიდობის დიდ გზას ჰკაფავდნენ მაშინ ჩვენი ტანკები; ისინი ამ ნათელი დღეების დასამყვადრებლად უტევდნენ ბნელების ურდოებს.

პოლკოვნიკი  
ს. სუხაროვი

მობდა თითქმის ორი ათეული წლის წინათ, დიდი სამამულო ომის დროს.

1945 წლის 14 იანვარს, გვარდიულმა სატანკო ბრიგადამ დავალება მიიღო, მეგობრულად ბატალიონთან ერთად, გაენთავისუფლებინა ქალაქი ნოვი სონჩი, მერე კი ქალაქი ვალოვიცი, რომელიც, კრაკოვის მიმართულებით, ერთერთ მსხვილ სარკინიგზო და საგზატკეცილო კვანძს წარმოადგენდა. ამასთან, ბრიგადის შტაბში მიიღეს დაშიფრული ცნობა, რომლითაც არმიის სარდალი მოითხოვდა კურუვის რაიონში, მდინარე დუნაიციზე აგებული რკინა-ბეტონის ხიდი და შეენარჩუნებინათ იგი მანამდე, სანამ მთავარი ძალები მოვიდოდნენ.

ბრიგადის მეთაურს სათანადო ძალები არ ჰყავდა. ამიტომ მან გადაწყვიტა ეს საქმე შეინდო ისეთი აღამიანებისათვის, რომლებიც ასეთ ძნელ ვითარებაშიც შესძლებდნენ ამოცანის გადაჭრას. მან გამოიძახა გვარდიის უფროსი ლეიტენანტები — ილია ტატიშვილი და ივანე ჩუბილოვ და დაწვრილებით აუხსნა მათ მდგომარეობა.

საქმე ის იყო, რომ მდინარე დუნაიციის დასავლეთ ნაპირზე გადიოდა მტრის დრმად ეშელონირებული თავდაცვა. მდინარეზე გადასასვლელი ადგილები ორივე ნაპირზე დანადგომული იყო, ხოლო ყველა მისაღვლი — ნიშნის ამოღებული. ხიდის სიგრძე თითქმის ნახევარ კილომეტრს უდრიდა. მას ესესელები იცავდნენ. გარდა ამისა, ხიდის ბურჯებში ჩაწყობილი იყო ნაღმები, რომელთა აფეთქება ნაცარტუტად აქცევდა ხიდს.

ჩვენებს რომ ეს ხიდი ხელში ჩაეგდოთ, მტრის გზა მოგერბოდა და ვეღარ გადავიდოდა გადაღმა, თავდაცვის ახალ ხაზზე; ხოლო ჩვენს ჯარებს გზა გაეხსნებოდათ, რათა მდინარე გადაელახათ და მტრის თავდაცვით ნაგებობებში შეჭრილიყვნენ. და აი, ამ ოპერაციისათვის უკვე გამოყვეს ტანკები. ბრიგადის მეთაურმა გვარდიის პოლკოვნიკმა ხოკომ ტანკისტებს აუხსნა, რომ მტრის ზურგში ფარულად შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ ტუყზე გავლით, შარაგზებიდან დაშორებით.

ტანკები დაიძრნენ, მაგრამ გაუთვალისწინებლმა შემთხვევამ კინაღამ ჩაშალა ყველაფერი. ერთ ხევზე გადებული ხიდი აფეთქებული იყო. შემოვლა შეუძლებელი გახდა. მაშინ ტანკები ხევში ჩაეშენენ, მაგრამ იქაურობა მოყინული იყო და მეორე ნაპირზე ვეღარ ადიოდნენ; ერთმა ტანკმა, როგორც იყო, ააღწია ზემოთ. ეს იყო ილია ტატიშვილის ტანკი, რომლის საჭესაც თვითონ ტატიშვილი ეჭდა. ორსაათნახევარი წვადების შემდეგ ამოვიდა ჩუბილოვს ტანკიც. დანარჩენებმა ვერ შესძლეს ხევიდან ამოსვლა.

ბინადებოდა. ილია ტატიშვილის წინადადებით, გადაწყვიტეს ამ ორი ტანკით, რომლებსაც მწვერავთა და მესაზღვრეთა დესანტი ახლდა თან, ტუყებზე გავლით შეჭრილიყვნენ დაბა კურუვისა და დომბროვში, ხიდს მოულოდნელად თავს დასხმოდნენ, ესესელები გაენადგურებინათ და ჩვენი შემტევი ჯარებისათვის გზა გაეხსნათ.

ილიას აზრი ყველას მოეწონა, და აი, ორი საბჭოთა ტანკი, ცხრაშეტი მწვერავისა და სამი მე-

სანგრის თანხლებით, გაემართა უცნობი გზით; უცნობი სიბნელეში შუქი გამოჩნდა. ტანკები მტრების ქობს მიადგნენ. ქობის პატრონმა, მალაღმა, გამბდარმა პოლონელმა სიხარულით ითავა მეგზურობა და მალე ტანკები ხიდისკენ მიმავალ შარაზე გაიყვანა. გამომშვიდობებისას მან ტანკისტებს აცნობა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ხიდისაკენ ამ შარაზე ჰიტლერელთა დიდმა სავტომობილო კოლონამ ჩაიარა. თურმე პირველი მანქანა ხან აანთებდა შუქს, ხან ჩააქრობდა...

ტანკები მალე წამოიწვიენ მტრის ავტოკოლონას, რომელიც რატომღაც გაჩერებულიყო გზაში. წინ მიმავალი ტატიშვილის ტანკი ხან ჩართავდა სინათლეს, ხან გამართავდა. როგორც ჩანდა, გერმანელებისათვის ეს პაროლი იყო. ორივე ტანკი დინჯად მიუახლოვდა მტრის ავტოკოლონას და მის ბოლოში გაჩერდა, ისე რომ არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია. ტანკისტები ელოდნენ მანქანების ადგილიდან დაძვრას, რომ მათთან ერთად გადასულიყვნენ ხიდზე. ელოდნენ კარგა ხანს. და აი, როგორც იყო, გერმანელები დაიძრნენ. უკან ჩვენი ტანკები მიჰყვნენ. გზის გასაყართან, ფარების შუქზე, ტანკისტებმა შეამჩნიეს მსუბუქი მანქანა, გზისკენ გადმობრილი მაღალი ოფიცერი და ფარინიანი ჯარისკაცი, რომელიც სათითაოდ ანთებდა ავტომანქანებს.

ტანკების მოახლოებაზე ოფიცერი, თითქმის გულმა გაუგოო, ხელების ქნევით ეცა მანქანის კარს, ჯარისკაცმაც დააგდო ფარანი და შეხება მანქანას. დამფროსალმა შოფერი ძლივს მოახერხა მოტორის ჩართვა. „ოპელი“ დმულით მოსწყდა ადგილიდან და წინ გავარდა. როგორც ჩანდა, მათ ვანგაზის ატეხვა სურდათ. მაგრამ გაუთრებით აკანდნენ ჩვენი მწვერავების ავტომატები (ისინი ტანკებზე ისხდნენ). „ოპელი“ მთვრალივით დაბარბაცდა და ცხვირით ჩაიხშო თხროლში.

— წინ, ხიდისაკენ, სწრაფად! — გასცა ბრძანება ტატიშვილმა. ტანკები ცეცხლგვანი გრიგალით შეიჭრნენ მტრის ავტოკოლონაში, გერმანელების მანქანები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ცვიოდნენ თხრილებში... ცოცხლად გადარჩენილი ჰიტლერელები თავზარდაცემული გაბრდნენ, რომ დამის სიბნელისათვის შეეფარებინათ თავი.

ტანკებმა გაიქროლეს დაბა კურუვის ქუჩები და ანთებული ფარებით მიუახლოვდნენ ხიდს. წითელფარნიანი გუშაგები ტატიშვილის ტანკთან მივიდნენ, მაგრამ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხეს, ისე გაგუდეს მწვერავებმა. მერე იმავე წითელი ფარით, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, წინ გაუძღვენ ტანკს. ტანკმა, მწვერავებთან ერთად ხიდი გადაიარა. მწვერავებმა მეორე ნაპირზე უხმაუროდ მოხსნეს გუშაგები და ხიდს დაემატრონენ. მერე ხელყუმბარები დააყარეს ესესელებთან ბლინდას, რომელშიაც მარტო ესესელები ერთი ლეიტენანტი და სამი ჯარისკაციდა გადარჩა.


## შიმა მახვილაძე

### კოსმონავტი

შორეულ ვარსკვლავს ისე ჩაუვლის შიში და ღრქოლვა შეიპყრობს ცას, იისფერ ფარჩის დღესასწაულით მთვარეზე ააქვს გულების წვა, შეაზანაარებს მისი ხმის ექო აზიდულ მთებს და გაბნეულ გზებს, შევა სივრცეში და თუ არ ეყო, ნავთქურასავით აუწყებს მზეს.







### ჩანაწიძრი

მთას სიძინავს, წყარო მდინარებს,  
 დრო ჰქრის თვალსასამამებლად,  
 მზე გვალხენს, სწივთა მფინარე —  
 ერთი დღის დასადასმებლად!  
 აი, ვე არი რაც არი,  
 ფიქრში მარცვლად რომ იგორა, —  
 ერთი პატარა ზღაპარი  
 „იყო და არა იყო რა“.

ჩვენც ეს ფუსფუსი გვიცაგდა,  
 სიტყვაც სათქმელო მრავალი,  
 ერთი მტკაველო მიწაც და  
 გზაწერილო, აღმართსაგალო!  
 დიანს, ვე არი რაც არი,  
 ფიქრით რომ გვიცხებს ამ არეს,  
 კაცობით ხელმონადირე,  
 კაცო, ნუ ჩანავალ სამარეს!

*სიქო წყაროებზე*

### მე, ერთი მგზავრი

მჯერა, ერთ ქართულ იტყვიან ჩემზე:  
 „— ვიცნობდი, მარჯვედ სმარობდა კალამს, —  
 მისი მზე ერთი მწვერვალის თებზე,  
 მითომ მადლიანს აძლევდა სალამს!“

იყოღა ლექსი, ისე იყოღა,  
 რომ ერთობდა ფიქრით კაცურით,  
 სიკეთისათვის მუდამ იწყოღა  
 და გული ჰქონდა სისხლში ნაწური!“

ო, მე ეს გული ვანთე სამწოდ,  
 რომ გამეფანტა გზაზე ბინდია  
 და ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ  
 ერთი სანთელი მეც ამითია!

მე, ერთი მგზავრი მაჩანადან  
 გამოვიღე, დიდ გზას რომ დავდგომოდი,  
 ბრძოლით ვისწავლე „ანი“, „ბანი“ და  
 ვცდილობდი ჩემს ხალხს ამოვდგომოდი.

და მადლობელი ვიქნები ბუდის  
 თუ მომეხს უჭი ვაჩვენე მზისა,  
 და ცხოვრებაში, თუნდაც მცირედით  
 გაეუადგილე სიძინელ გზისა!




### ეს პატარა სოფელი

ჩემი გულის სადროშოა, ეს პატარა სოფელი:  
 მზის ამოსვლის, ყანის მოსვლის და რთელის მახარობელი!  
 შრომის კეთილშობილება და კაცობის ნამუსი,  
 ქუდებდად აქ დამყოლია, აქ ვარ მისით ნამოსი.

და თუ კაცურ კაცობისთვის ვამაყობ და არ ვცხრები,  
 პირობას ვდებ, რომ ამაში არაფერს დაუმარცხდები,  
 არასდროს არ დავმარცხდები სიყვარულის ცნებაში,  
 ლექსით ციფრის ანთებაში და ნათელ ოცნებაში!

კენაცვალე აჭარა მზის შუქს — ოქროს ჭკვლებიანს,  
 გულის სითბოს ვაგება რომ ჩემთვის უსწავლებია!  
 ვენაცვალე ამ ცა-ფირუსს, ამ ყვევითა სურბელსა,  
 მტერთა ხელით ნასროლ ისრის ჭრილობის გამკურნელსა.

ჩვენს სიბღერას, წყლის საუბარს, ტორლოების მოფრუნას,  
 აღუბლის და ატმის რტოთა ყვავილებით მოფენას,  
 ვენაცვალე ბაღა-ბაღებს, ჩვენს მხარის მკობელსა,  
 ვენაცვალე აღმზრდელ მიწას, ჩემს პატარა სოფელსა!



# დასსაქსი

## ხანსოქი

**ჩ**ვენი დროის უბრწყინვალესი მხატვრის ივანე ლანსერტის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს დედაქალაქს — თბილისს. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ პერიოდში სწორედ ამ ქალაქში ბევრ რამეში გამოავლინა მისი შემოქმედების მრავალფეროვნება. 1920 წელს ჩამოიღეს ლანსერტი თბილისში და თავიდანვე სიუვარულითა და გაცაცებით მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მან დიდი ამაგი დასდო თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების საქმეს; იგი იყო ამ აკადემიის ფორმირების პირველი პროფესორთაგანი. მომდევნო წლებში ლანსერტი თანამშრომლობს საქართველოს მუზეუმში მხატვრად და მონაწილეობს სამეცნიერო ექსპედიციებში: მცხეთაში, დავით-გარეჯაში, შიო-შავლაძეში და სხვ. ძნელია ამ პატარა წერილში მისი ღვაწლის მთლიანად აღწერვა, ჩვენ აქ შევხებით მხოლოდ მის თბილისურ ჩანახატებს.

მხატვარს უფრო მეტად იზიდავს ნარიყალას მიდამოები: სხვადასხვა ტონში აუღერებული მთის ფერდი, ძველებური ყუბის ნაგებობანი ვიწრო გასასვლელით, ბანებით და აივნებით. ვახაოცარი ოსტატობითაა შესრულებული იტი-ული „ხელი ნარიყალაზე“ (1928 წ.). აქ კარგად ჩანს კომპოზიციის ლანსერტისეული ხერხით გადაწყვეტა: წინა პლანზე ოდნავ შემადლებული ბორცვი და მის გვერდით, ხედავს შედარებით დაბალ წერტილზე მოცემული ნახევრად განათებული სახლი. თითქოსდა შეუმჩნევლად, თანდათანობით შევდივართ სიღრმეში — აგერ მტკვრის ნაპირი, ქარვასლის მაღალი კედლები, სახურავთა მცირე ზომის ღამრეცი ჰორიზონტალები, ორივე მხარეს მზით განათებული ეკლესიათა შენობათების შეფრთხილება, რომლებიც ასევე მისწრაფნიან ზემოთ და ბოლოს მუქი იისფერი ჩრდილებით დანაოჭებული, ძლიერად განათებული მთის კალთები — ნარიყალა, ციხის გალავანი, გამჭვირვალე ჩრდილების მონაცვლეობით შექმნილი ქულა ღრუბლები.

ალ. ლლონტი უარყოფს ამ უკანასკნელ შეხედულებას და სახეებით მართებულად აღნიშნავს: „სიტყვათწარმოება არ შეიძლება მივიჩნიოთ ენათმეცნიერების დამოუკიდებელ ნაწილად. მას არა აქვს საკუთარი კანონები, რაც მეცნიერების ყველა დარგს უნდა ახასიათებდეს, მას არა აქვს დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინისათვის აუცილებელი კატეგორიები“ (გვ. 87). მაგრამ, ჩვენი აზრით, არც თვითონ ალ. ლლონტი დგას სწორ პოზიციაზე, როცა სიტყვათწარმოებას ლექსიკოლოგიას აკუთვნებს. მისივე განმარტებით, ლექსიკოლო-

გია „სიტყვას იხილავს მნიშვნელობისა და გამოყენების მიხედვით, გრამატიკა კი — ფორმისა და სხვა სიტყვასთან დამოკიდებულება-კავშირის მიხედვით“ (გვ. 20). ამრიგად, ლექსიკოლოგია შესწავლის სიტყვის შინაარსულ მხარეს, გრამატიკა — ფორმას. ცხადია, სიტყვათწარმოება ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

თეორიულ მხარეს რომ თავი დავანებოთ, რას მოგვეცემს პრაქტიკულად სიტყვათწარმოების ამოღება გრამატიკიდან? მაშინ გამოვა, მაგალითად, რომ ზმნის პირი, რიცხვი, სქესი, დრო და კოლო გრამატიკამ უნდა შესწავლოს, ქცევა, გვარი, კონტაქტი და სხვანი კი — ლექსიკოლოგიამ. ამ მხოლოდ არეგდარევისა და გაუგებრობის გამოიწვევდა. ამიტომ ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია ავტორის თვალსაზრისი, რომ სიტყვათწარმოება ლექსიკოლოგიის სფეროს ეკუთვნის.

სამაგიეროდ, ჩვენი აზრით, სახეებით სწორად იქცევა ალ. ლლონტი, როცა წიგნში ვრცელ ადგილს უთმობს ქართული ონომატოლოგიის საკითხებს. ონომასტიკა ეკუთვნის საკუთარ სახელთა შესწავლას, როგორცაა აღმნიშნა სახელები და მეტასახელები, გვარები, გეოგრაფიული სახელწოდებანი და ტომთა თუ ხალხთა სახელები. ყველა ისინი (უკანასკნელის გამოკლებით) წიგნში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული. აქვე მოტანილია მეგრული და სვანური მდიდარი ონომასტიკური მასალაც. ქართველურ ენათა ეს სფერო ჯერჯერობით ძლიერ შეუწავლელია, — არ მოგვეპოვება ონომასტიკური ლექსიკონები ან ცნობარები, ცოტა გვაქვს გამოკვლევებიც, ამიტომ ავტორს თითქმის ყამირის გატება უხდება და მისი დაკვირვებანი ფრიალ სასურველდება.

დასასრულ, მრავალ საინტერესო საკითხს ეხება წიგნის მეოთხე თავიც — „ლექსიკოგრაფია“. ამ მხრივ წარმოებული მუშაობაც ჯერ არ ყოფილა შექმნილი და წიგნში ბევრი ძვირფასი საცნობარო მასალაა წარმოდგენილი. აქ დახასიათებულია ყველა ტიპის ქართული ლექსიკონები, ნაჩვენებია, როგორ აიხსნას ქართული ლექსიკონები ენათა მასალა მსოფლიო ენათა შედარებით ლექსიკონში, ვრცლად არის განხილული პირველი ქართული ლექსიკონები, განსაკუთრებით — საბას „სიტყვის კონა“, რომელიც, ალ. ლლონტის საფუძვლიანი მტკიცებით, შედგენილია ძირითადად XVII საუკუნის 80-იან წლებში და არა XVIII საუკუნის დასაწყისში, როგორც ამან ჩვეულებრივ აღნიშნავენ ხოლმე.

ამ გარემოებას, როგორც წერს ავტორი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს: „ირკვევა, საბა თავის „ქართულ ლექსიკონს“ და ლექსიკოგრაფიულ თეორიას ქმნიდა იმ ეპოქაში, როდესაც თეორიული ლექსიკოგრაფია თვით რუსეთსა და დასავლეთ ევროპაშიაც ის-ის იყო ფეხს იდგამდა“ (გვ. 161).

საბას კეთილსმყოფელი გავლენა განიცადა ყველა მომდევნო ქართველმა ლექსიკოგრაფმა, პირველ რიგში კი მისმა უშუალო მოწაფემ ვახტანგ VI-მ, ამას ალ. ლლონტიც აღნიშნავს, მაგრამ რატომღაც ვახტანგს მაინც საბამდელ ლექსიკოგრაფოსთა შორის იხსენიებს (გვ. 163).

ამგვარი დასაზუსტებელი ადგილები, სადავო და ზოგჯერ მცდარი დებულებებიც წიგნში არაიშვიათად გვხვდება; ზოგი საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურა არ არის ამომწურავად გათვალისწინებული, ზოგი საკითხი მეტად მკრთალადაა გაშუქებული ან სრულიად არაა განხილული (მაგალითად, უფრო დაწვრილებით უნდა ემსჯელა ავტორს ქართული ლექსიკონის შედგენის პრინციპებსა და თავისებურებებზე; ვთქვათ, ზმნის პირიანი თუ უპირის ფორმების შეტანაზე, სახელობითი ბრუნვის ნიშნის ადგილის შესახებ ანაზნე გაწყობის დროს და ა. შ.), მაგრამ ამგვარი ხარვეზები წიგნში, რომელიც საკითხის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს, სასებით გასაგები და დასაშვებია; როგორც იტყვიან, ნაშრომში სადავო რომ არაფერი იყოს, იგი არც იქნებოდა საინტერესო.

ალ. ლლონტის „ქართული ლექსიკოლოგია“ მნიშვნელოვანი საენათმეცნიერო ნაშრომია და ჩვენი ფილოლოგიის ახალ წარმატებულ მეტყველებს.

ზურაბ ჭუმბურიძე

## ჩვენი ისტორიული გეოგრაფია

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ნიკო ბერძენიშვილმა დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას.

ფართო და მრავალმომცველია მისი მეცნიერული ინტერესების წრე:

წინაფეოდალური თუ ფეოდალური ხანის ქართველურ ხალხთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილება, მათი ფორმირება და განვითარების ძირითადი ეტაპები;

ფეოდალურ ურთიერთობათა მანძილზე ქვეყნის შიგნით მიმდინარე კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლა, ამ ბრძოლის კონკრეტული გამოვლენები და მათი ასახვა საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმებში;

მეზობელ ხალხებთან ქართველების კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობანი და მათი რეალური შინაარსი;

წარსული საუკუნის საზოგადოებრივი მოძრაობანი და ჩვენი ისტორიის წყაროთმცოდნეობა...

აი, სქემატური აღწერსავე ძირითადი საკითხებისა, რომლებიც, უარესად კონდენსირებული სახით გადმოცემული არიან ავტორის ნაშრომებში.

არსებობს კიდევ ერთი დარგი, რომლის დამკვიდრებასაც, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიურ და ფაქტოლოგიურ მიღწევათა დონეზე, დიდად შეუწყობ ხელს ნიკო ბერძენიშვილმა.

ამ დარგს ისტორიული გეოგრაფია ეწოდება...

თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე ადამიანთა საზოგადოება აქტიურად შემოქმედებს ბუნებრივ გარემოზე, არჩევს თავისი შემოქმედების კვალს, რომელიც ჩვენამდე „გადმონაშთების“ სახით აღწევს.

სწორედ აქ არის საჭირო ისტორიული გეოგრაფია; მისი მიზანია ბუნებრივ-გეოგრაფიულ მიდამოში ადამიანთა ნაკვალავის მიხედვით საზოგადოების წარსული ცხოვრების მეცნიერული შესწავლა, ადამიანთა შემოქმედების ისტორიული სურათის ჩვენება.

ისტორიული გეოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი დარგი, გვიან ჩამოყალიბდა ჩვენში და იგი თავიდანვე დაუკავშირდა ნიკო ბერძენიშვილის თეორიულსა თუ პრაქტიკულ მოღვაწეობას, რომელსაც ეს მეცნიერი ინტენსიურად აწარმოებდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

ნ. ბერძენიშვილის ახალი წიგნი „საქართველოს ისტორიის საკითხები“ წარმოადგენს დასაწყის ნაკვეთს მრავალტომეულსა, სადაც უნდა შევიდეს ავტორის მიერ უკვე გამოქვეყნებული თუ ჯერ დაუბეჭდავი თხზულებები.

თავიდანვე ავტორი დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის, თეორიული პრინციპების გააზრებას. ასეთ მიზნებს ისახავდა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაწერილი ნაშრომი „ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა“, ხოლო ეს დებულებები დასრულებულ-გავრცობილი სახით მან წარმოადგინა ახალ გამოკვლევაში — „ისტორიული გეოგრაფიისათვის“; იგი გამოქვეყნდა რამდენიმე წლის წინ.

ამ ნაშრომში დახასიათებულია ისტორიული გეოგრაფიის მეთოდები თუ ამოცანები და მიმოხილულია ისტორიული გეოგრაფიის ისტორიოგრაფია ჩვენში.

კონკრეტული ილუსტრირების მეთოდით ავტორი ცხადყოფს, თუ მომავალში ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე, როგორი სიღრმით შეიძლება ქართველურ ხალხთა ისტორიული წარსლის ყოველმხრივი წარმოდგენა.

წიგნში მკითხველის ყურადღებას იპყრობენ ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურ-ანგარიშები: „ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წ.“, „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური“, „ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს“, „ბორომის ხეობა“, „ერთი ფურცლი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან“ და „აფხაზეთში“. ეს ნაშრომები დაწერილია დიდი ხნის წინ და უმეტესობა დღეს პირველად ქვეყნდება.

ეს დღიურები დაწერილია დიდი მეცნიერული აღზნებით: აქ არის აღწერსავე და ანალიზი მთელი რიგი ისტორიულ-გეოგრაფიული გადმონაშთებისა; აქვეა მათი შესწავლა და მეცნიერული შეფასება.

ჩვენი წერილი მიზნად არ ისახავს ავტორის ნაწერებში უხვად მიმოხილულ დებულებათა აღწერას, არც თუ მათ დაწვრილებით განხილვას: ამ პატარა წერილში ეს შეუძლებელია.

ერთი რამ კი გადაჭრით შეიძლება ითქვას: ნ. ბერძენიშვილის ეს წიგნი ქართული ისტორიოგრაფიის დიდი წარმატებაა და იგი მთელი სიფართოვით აჩენს მკვლევარის აზროვნების სიღრმეს.

შოთა ბაღრიძე

1980 წელს თოვლი ნადრევიდ მოვიდა მოსკოვში. ოქტომბრის შუა რიცხვებში თერმომეტრში ვერცხლისწყალი დაბლა დაეცა და ყინვები დაიჭირა. სწორედ ამ დროს თბილისის დინამოელები საბჭოთა კავშირის თასის ნახევარფინალში შეხვედნენ დონეცის „შახტიორს“. მოედანზე სუსხიანი ქარი უბერავდა. თერმომეტრი ნულს დაბლა მხარადღუსს აჩვენებდა. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე ოთხი ათასი კაცი თუ შექნებოდა. ეს თავზეხელაღებული გულშემატკივრები ისე იყვნენ გაბნეულნი სტადიონის უზარმაზარ ტრიბუნებზე, რომ გვეგონებოდათ მატჩზე სულ რამდენიმე კაცი მოსულაო.


არც ფეხბურთელებს ადგათ კარგი დღე. გაუჩნელი თოვლი სახეში სცემდათ, სუსხიანი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა.

მოთავდა ორივე ტაიმი, ანგარიში კი საყვიმო იყო. დაინიშნა დამატებითი ტაიმი, უკანასკნელი წუთები იწურებოდა, ანგარიში — ისევ 1:1 იყო. უკვე ყველა ფიქრობდა, რომ მოწინააღმდეგენი მეორე დღეს კვლავ შეხვედბოდნენ ერთმანეთს. ამ დროს ბურთი ვიდაცამ აუტში გადაადგო. სანამ პატარა ბიჭუნა ბურთს მოიტანდა, ფეხბურთელებმა ერთი წუთით შეისვენეს. სწორედ ამ დროს ჩაუღლაპარაკა შოთა იამანიძეს ერთმა დონეცელმა მცველმა:

— ამ ყინვაში ხვალ რაღა გამოიყვანს მოედანზე, ჯანდაბას, თქვენ მაინც მოგვგოს!

მიხეილ მესხმა ეს სურვილი ზუსტად ნახევარი წუთის შემდეგ შეუსრულა „შახტიორელ“ ფეხბურთელს. მან უღამაზესი ბურთი გაახვია დონეცელთა კარის ხაღვეში. თბილისის „დინამო“ გავიდა თასის ფინალში.

დადლილობა ყველას დაავიწყდა, გამარჯვებამ ბიჭებს ფრთები შეასხა. მანამდე თბილისის „დინამომ“ სამჯერ მოიპოვა ფინალში თამაშის უფლებ-



# გურამ ფანჯიქია

ბა. გადაწყვეტ მომენტში კი ქართველმა ფეხბურთელებმა სამჯერვე დაპარცხებულებმა დატოვეს მოედანი. ბოლოს და ბოლოს, იქნებ მოეთხედ მაინც გატეხილიყო წავის. მატჩამდე მხოლოდ ორი დღე რჩებოდა. 81 ოქტომბერს თბილისელები უნდა შებრძოლებოდნენ მოსკოვის ტორპედოელებს. ახლოვდებოდა მატჩის დღე და მატულობდა მღელვარება.

გათენდა 80 ოქტომბერი. ანდრო უორდანიამ ფეხბურთელები სასტუმროს ეკოში ჩაიყვანა და მსუბუქად ავარჯიშა. საუზმის შემდეგ კი ყველამ მწვრთნელის ოთახში მოიყარა თავი, ეს წუთები არასოდეს დაავიწყდება შოთა იამანიძეს. გადაწყვედა, რომ მოედანზე გუნდი მას უნდა გამოეყვანა.

შოთას ადრეც ბევრჯერ შეუცვლია თბილისელთა შესანიშნავი კაპიტანი ავთანდილ დოლობერიძე. მაგრამ წინა მატჩები ან ჩვეულებრივი, რიგითი სატურნირო მატჩები იყო, ან ამხანაგური შეხვედრები. ამჯერად კი იამანიძის უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, იგი გუნდს სათავეში უნდა ჩასდგომოდა ყველაზე გადაწყვეტილი მომენტში. ასეთ დაძაბულ მატჩში ყველაფერი დამოკიდებულია ნერვებზე, მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურად დამარცხებაზე. სწორედ აქ უნდა იყოს კაპიტანი მაგალითის მიმცემი. მატჩო ის როდი კმარა, რომ კაპიტანმა კარგად ითამაშოს. მან უნდა უხემაძვანელოს გუნდს, გაანელოს დაძაბულობა, მეგობრებს შემატოს სიმხნევე, თამაში წარმართოს მშვიდად და გეგმიანად.

ეს მხოლოდ იმ ფეხბურთელს შეუძლია, რომელსაც გუნდი ენდობა. შოთა იამანიძეს ენდო თბილისის „დინამომ“ — ყველაზე კრიტიკულ მომენტში მას უნდა შეეცვალა ფსიქოლოგიურ ორთაბრძოლებში გამობრძნედილი ავთანდილ დოლობერიძე.

შოთა იამანიძემ მთელი სიღრმით მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ რას ნიშნავს გუნდის კაპიტანობა, იგრძნო და მღელვარებამ შეიპარა.

ის დღეები მე ქართველ ფეხბურთელებთან გავატარე. თამაშის წინა ღამეს დასაძინებლად ყველანი ადრე დაწვენი, მაგრამ მათ თვალებს რული არ ეკარებოდა. შოთას ფეხი სტკიოდა. წინა თამაშზე ტერფი მიმიმედ დაიწიანა. არც მასაჟმა უშ-

ველა, არც წამლებმა, არც აბაჯანებმა. მის ადგილზე ბევრი ფეხბურთელი ალბათ არც კი გამოვიდოდა მოედანზე. შოთამ გადაწყვიტა თამაშის წინ ტერფში ნოვოკაინის ოთხი ნემსი გაეკეთებინა და ტკივილი გაეუჩუჩინა. მან კარგად იცოდა, რა ჯოჯოხეთური ტკივილები შეიპარობდა, როცა წამალი ძალას დაქარგავდა, მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო.

ყველანი ღელავდნენ, ცდილობდნენ ფეხბურთზე არ ეღლაპარაკათ, მაგრამ მათი გონება მხოლოდ მომავალ მატჩს დასტრიალებდა.

ანდრო უორდანიამ შოთას უდიდესი დავალება მისცა, როგორც ფეხბურთელსაც, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი მატჩი, როცა თბილისელებმა ოთხი მცველის სისტემა გამოიყენეს. მწვრთნელმა შოთა იამანიძე მარცხენა შუამარბად დააყენა და მასვე დაავალა უკანდახეული ნახევარმცველის დანაკლისის ანაღაურება მოედნის ცენტრში. ეს კიდეც ერთხელ მოწმობდა, რომ მწვრთნელს სწამდა შოთას მოქმედების ფართო დიაპაზონისა. ასეთი თამაში ხელს აძლევდა ტორპედოელთა შესანიშნავ ნახევარმცველს ვალერი ვორონინს, რომელსაც ფინალში შოთას მეურვეობა მქონდა დავალებული. თუ შოთა იამანიძე ძირითადად მოედნის ცენტრში იტრიალებდა, ვორონინს საშუალება ექნებოდა უფრო ხშირად შეეტეხა თბილისელთა კარისათვის. ეს გეგმა ყველაზე უფრო ზაურ კალოვის არ მოსწონდა.

— სჯობია შენ სულ თავდასხმაში იყო და ვორონინი ჩვენს საქარბომ მოედანს არ გააკარო, თორემ ხომ იცი მაგის შორიდან დარტყმული ბურთების ძალა, — ეუბნებოდა შოთას თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი.

ეს ამბავი შოთასაც ძალიან აფიქრებდა. მეორე დღით მან მითხრა: თუ მიზამ კარგად ითამაშა, მაშინ ვორონინი ვერ გაბედავს წინ წასვლას, მესხს მედეკინის ამარა ვერ მიატოვებს.

და აი, 81 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, მოსკოვის „ტორპედომ“ და თბილისის „დინამომ“ წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე. ყინვამ ვერ შეაშინა მოსკოველი მაყურებელი. 85 ათასი კაცი ტაშის გრიალით მიესალმა. საბჭოთა საფეხბურთო სკოლის ორ საუკეთესო გუნდს.

ამ მატჩზე ბევრი დაიწერა. მაყურებლებმა და სპეციალისტებმა ეს შეხვედრა სეზონის საუკეთესო მატჩად აღიარეს. ბევრი ჟურნალისტის აზრით კი ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე უნახავთ. ქართველმა ფეხბურთელებმა ამ დღეს აჩვენეს ზეშარბიტად დიდი ფეხბურთი. მოედანზე კეთდებოდა ისეთი ტექნიკური იღეთები, სრულდებოდა ისეთი ოსტატური ჩანაფიქრები, რომ ადტაცებულ მაყურებლებს ავიწყდებოდათ სიცოცხლე, ყინვაც და მქუხარე ტაშით აქლდოვებდნენ ფეხბურთელებს.

განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ იამანიძე, მესხი და ბარქაია, რომელთა ლამაზ ფინტებს და იღეთებს მოსკოველი მაყურებლები „ზრახილიურად“ ნათლავდნენ.

არ გამართლდა ზაურ კალოვის შიში. შოთა იამანიძე პირველი დამპროდა მოედანზე. მან არა მარტო წაართვა ცენტრი მოსკოვის ტორპედოელებს, არამედ თვითონაც სახეფათოდ უტევდა მოწინააღმდეგის კარს. მთელი თამაშის განმავლობაში ვალერი ვორონინმა ერთი სრულფასოვანი იერიშიც კი ვერ განახორციელა თბილისელთა საქარბომ მოედნისაკენ. პირიქით, პირველ ტაიმი ისე იყო დაბნეული, რომ ბარქაიას მიერ მარჯვენა ფრთიდან ჩაჭოილი ბურთი უშლიერესი დარტყმით საკუთარი კარისაკენ გაგზავნა... ტორპედოელები შემთხვევით გადაარჩნენ გოლს.

დამატებით დროში, როცა ანგარიში 8:8 იყო, თბილისელები გადაწყვეტდნენ იერიშზე გადავიდნენ და ტორპედოელთა საქარბომ მოედანზე დასახლდნენ და სწორედ მაშინ, როცა ყველა დარწმუნებული იყო ქართველი ფეხბურთელების გამარჯვებაში, ბურთი გახვია თბილისის დინამოელთა კარის ხაღვეში.

გაისმა თუ არა მსახის ფინალური სასტვენის ხმა, მოედანზე ფოტორეპორტიორების მთელი არმია გაიჭრა.

შოთა იამანიძემ თვალი შეავლო ჟურნალისტებითა და ფოტორეპორტიორებით გარშემორტყმულ, სიხარულით სახეგარწყინებულ ტორპედოელებს და თავისი გულნი მოედნიდან გაიყვანა.

მატჩამდე ქართველი ფეხბურთელები გულის სიღრმეში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თასი მათ ხადრებოდათ. მოლაპარაკებულებიც კი იყვნენ, გამარჯვების შემდეგ წვეულება სად უნდა გადაეხდათ. ბედმა ყველაფერი უკუღმა შეატრიალა, დამარცხებულებმა ტანსაცმელი ჩუმად ჩაიცვეს და თითო-თითოდ გაუჩინარდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ინვლისში გაემგზავრნენ. აეროდრომზე ბევრი ვისაუბრეთ. ანდრო უორდანი კმაყოფილებით ამბობდა:

— შოთამ წამდევლად გამართლდა. იგი კარგი ფეხბურთელია და კარგი კაპიტანიც იქნება. ფინა-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
გიგლიოთშვა

ღურ შეხვედრაში დაძაბული მომენტებიც ბევრი იყო, ამ დროს ყველაფერი დამოკიდებული იყო კაპიტანის თავდაპირველობაზე. და აი, მსაჯმა შეცდომით ჩათვალა თამაშვარდ მდგომარეობიდან გატანილი ბურთი. მე, ცოტა არ იყოს, შეშინოდა შოთას სიფიცხისა, მაგრამ მან შესანიშნავად დაიჭირა თავი, ბიჭებს ბრძოლისთვის მოუწოდებდა და მაგალითიც თვითონვე მისცა. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ საპასუხო ბურთი „ტორპედოს“ კარის ბადეში ფართხალდება.

მწვრთნელი არ შეშინდა. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, შოთა იამანიძე დღესაც ღირსეულად უდგას გუნდს სათავეში. მან თავისი მეგობრების დიდი სიყვარული, პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა. თბილისის დინამოელები ყოველთვის უფრო თამაშად და გაბედულად მოქმედებენ, როცა მოედანზე შოთა იამანიძეა.

შოთა იამანიძის თავდაპირველობას, ტაქტსა და კულტურას მართლ უმეტესად ფეხბურთელები როდი სცემენ პატივს. 1962 წელს საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრებმა ბრაზილიაში გამგზავრების წინ კაპიტანად შოთა აირჩიეს.

ეს იყო შოთა იამანიძის საუკეთესო შეფასება როგორც სპორტსმენისა და როგორც ადამიანისა. თბილისელთა კაპიტანი მომავალი ინჟინერია. იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზეა. მას ძალზე იტაცებს თავისი პროფესია.

— ფეხბურთს რომ თავს დავანებებ, იმავე წუთში ჩემს სპეციალობას მივუბრუნდები. ჩემი ოცნებაა თბილისში ავაშენო იმხელა სტადიონი, რომ ყოველ მატჩზე ბილეთები თავისუფლად იმყოფებოდეს. — თქვა ერთდროულად ღიმილით შოთამ.

II

ვარციხის ქუჩაზე არის ერთი პატარა მრგვალი ეზო. მერე სართულზე ბინები ერთმანეთს თაღებისმაგვარი ხიდებით უკავშირდება. ეს ხიდები იყო პირველი მოედანი, სადაც პატარა შოთა გაეცნო ფეხბურთის ანბანს.

იგი ბურთის თამაშს მხოლოდ მაშინ ანებებდა თავს, როცა ძალზე ჩამოხნულდებოდა და ბურთის გარჩევა აღარ შეიძლებოდა. „მოედანიც“ ძალიან პატარა ჰქონდა, სულ რამდენიმე კვადრატული მეტრი. თამაშის დროს შოთა ცდილობდა მოედნის ყოველი გოჭი „რაციონალურად“ გამოეყენებინა. პირველად სწორედ აქ შეითვისა ბურთის დამუშავების ტექნიკა.

თავდაპირველად შოთა მე-19 საშუალო სკოლაში შეიყვანეს. მისმა თამაშმა თავიდანვე მიიქცია ყველას ყურადღება. შოთას ურჩიეს მს-ე საშუალო სკოლაში გადასულიყო. უკანასკნელი ოთხი კლასი მან სწორედ მს-ე სკოლაში დაამთავრა.

შოთა ძალზე დღედავდა, როცა პირველად ჩაიკვანამდვილი ფორმა და უკვე საკმაოდ „გამოცდილი“ ბიჭუნების გვერდით დადგა, მდებარეობამ ძალიან მაღე გაუარა, პირველსავე წუთებში გამოჩნდა, რომ იგი ყველაზე უკეთ თამაშობდა.

რატომღაც ბავშვობაში შოთას მარცხენა გარემარბის ადგილი უფრო მოსწონდა. თუმცა მას თავიდანვე ეტყობოდა, რომ შუამარბის ფუნქციებს უკეთესად შეასრულებდა. მაშინაც კი, როცა გარემარბად თამაშობდა, იერიშებს თითქმის საკუთარი საჯარიმო მოედნიდან იწყებდა და ხშირად გოლით აგვირგვინებდა. იყო შემთხვევები, როცა ერთ თამაშზე ხუთი-ექვსი ბურთი გაჰქონდა ხოლმე.

1958 წელს ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა ჰაბუკ ფეხბურთელთა შორის. ფინალური შეხვედრა გაიმართა მინსკში. საქართველოს გუნდმა დაამარცხა ყველა მეტოქე და გავიდა ფინალში. არჩილ კიკნაძემ გადაწყვიტა შოთა იამანიძეც თან წაეყვანა, მაგრამ იგი ასაკით პატარა იყო და შეჭიბვრების დებულების თანახმად მისი გამოყვანა არ შეიძლებოდა.

მწვრთნელი ბევრს ეხვეწა ექიმებსა და შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომ შოთასათვის თამაშის ნება დაერთოთ. როგორც იქნა, არჩილ კიკნაძემ მიადგინა თავისი საწადელი. იამანიძეს ნება დართეს მოედანზე გამოსულიყო. იგი მაშინვე გუნდის კაპიტანად აირჩიეს. შოთას კვლავ თავდასხმის მარცხენა ფრთა ჰქონდა მინდობილი. თამაში თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გარჯებით დამთავრდა. შოთა იამანიძეს საზეიმოდ გადასცეს გამარჯვებულის თასი.

ბევრმა გულშემატკივარმა ჯერ კიდევ მაშინ გაიგო თქვესმეტი წლის ჰაბუკის სახელი და გვარი, მომდევნო წელს კი შოთამ ყველას ყურადღება მიიქცია. საქართველოს პირველობა ტარდებოდა ჰაბუკთა შორის. მას ყოველ თამაშზე რამდენიმე ბურთი გაჰქონდა და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი მოიპოვა. იმავე წელს იგი საკავშირო პირველობაზე უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ერთმა სახიამოვნო ამბავმა ხელი შეუშალა. ბორის პაიჭაძემ და ავთანდილ დოლობერიძემ თბილისის „დინამოში“ გამოიძახეს: უჩვეულო მდებარეობამ შეიპყრო. ოცნებას ფრთები ესხმებოდა.

იგი გაფაციცებული უდებოდა ყურს ორ სახელოვან კაპიტანს: ბორის პაიჭაძეს, რომელსაც უკვე დამთავრებული ჰქონდა თავისი სპორტული კარიერა და ავთანდილ დოლობერიძეს, რომელიც იმ ხანად გუნდს სათავეში ედგა. მაშინ მას აზრადაც არ მოსვლია, რომ გაივიდოდა რამდენიმე წელი და თვითონ მიემატებოდა თბილისის „დინამოს“ კაპიტანთა პლეიადს.

III

გულშემატკივართა შორის ხშირად გაიგონებო, თუ შოთა იამანიძე კარგად თამაშობს, გუნდიც კარგად თამაშობს. ეს შეიძლება გადაზედებული იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ გულშემატკივრებს იგი მაინც ფართო დიპაზონის ფეხბურთელია.

შოთა იამანიძე თავდაპირველად მარცხენა გარემარბად თამაშობდა. თბილისის „დინამოში“ მარცხენა შუამარბის ადგილი მიუჩინეს. რამდენჯერმე ცენტრალური თავდასხმელების ფუნქციებზეც დააკისრეს. ძირითადად კი თამაშობდა ან მარცხენა შუამარბად, ან მარცხენა ნახევარმცველად.

დიდი ხნის განმავლობაში კამათობდნენ რომელი სჯობდა: იამანიძე-ნახევარმცველი თუ იამანიძე-თავდასხმელი. ამაში ერთხანს თვითონ შოთაც კი არ იყო გარკვეული. მას ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა წინ ეთამაშა და უკან დახევა ძნელდებოდა. მაღე თვითონაც დარწმუნდა, რომ ნახევარმცველის ფუნქციებს უფრო შემოქმედებითად ართმევდა თავს.

შოთა იამანიძე ბურთს უნაკლოდ ფლობს. მის მაღალ ტექნიკაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. მაგრამ შოთა ისეთი ტიპის ფეხბურთელია, რომ მანევრირების დროს მოთხროვს სივრცეს და ფართო მოედანს. როცა თბილისელთა კაპიტანი თავდასხმაში თამაშობს, მას მანევრირებისათვის მცირე ადგილი რჩება და იერიშებსაც სიმწვავე ეკარგება.


სულ სხვაა, როცა იგი ბურთს მოედნის ცენტრში იღებს. იგი თითქმის მთლიანად ეუფლება სივრცეს, კონტროლს უწყევს ბურთსაც, მოედანსაც და პარტნიორებსაც.

1+4+2+4 სისტემამ ფეხბურთელებს ახალი ამოცანები დააყენა. წარმოიშვა ახალი ტიპის ნახევარმცველებიც: შოთა იამანიძე სწორედ ამ სისტემისათვის დამახასიათებელი ნახევარმცველია. იგი უშუალოდ არასდროს არ თამაშობს რამდენიმე ფეხბურთელის „ჩასაკეობად“. შოთა იამანიძის ამოცანაა დაიპყროს მოედნის ცენტრი, იყოს ძირითადი დამაკავშირებელი თავდასხმასა და დაცვას შორის. როცა თბილისელთა კაპიტანი, როგორც ამბობენ, კარგ ფორმაშია და ამ ამოცანას წარმატებით ასრულებს, იშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ თბილისის „დინამოს“ მოედანი დამარცხებულს დაეტოვებინოს.

შოთა იამანიძე დრიბლინგის დიდოსტატია. ჩვენს გულშემატკივრებს არა ერთხელ უნახავთ, რომ თბილისელთა კაპიტანს ბურთი მიუღია საკუთარ საჯარიმო მოედანზე, მოუტყუებია რამდენიმე მცველი, ხშირად ხუთი კაციც კი, და ისე მიუტანია იერიში მოწინააღმდეგის კარზე.

ბევრი ასეთი შემთხვევაც ახსოვთ თბილისელ კიდევე, ლენინგრადელ, რიგველ და მოსკოველ მკურნებლებს, როცა შოთა იამანიძის თითქმის საკუთარი საჯარიმო მოედნიდან წაუღია ბურთი, უკან მოუტოვებია რამდენიმე მცველი და ისე გაუტანია გოლი.

ვისაც ეს არ ახსოვს, შევახსენებ შოთა იამანიძის მიერ გატანილ ბურთებს ლენინგრადის „შენიტთან“, მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და არმიელ ფეხბურთელებთან, კიევის „დინამოსთან“, რიგის „დუგაგასთან“, თურქეთის „გალატასარაისთან“ და მრავალ სხვა გუნდთან თამაშის დროს. აქ მხოლოდ ის ეპიზოდები გავიხსენებ, როცა შოთამ ბურთი ღრმა ზურგში მიიღო, ოსტატური დრიბლინგით გადაიარა მთელი მოედანი, გზადგვა მოატყუა ოთხი-ხუთი მცველი და ბურთი გაახვია მოწინააღმდეგის კარის ბადეში.



გონდო ალაშიძე

თბილი წვიმების ზეგით, ახლოს მზით სავეს ცასთან, მთებთან შემდგარან გზებში — და გაოცება მგზავრთა... ქალაქები და ზვრები თეთრად ბოლავენ სადღაც!

აბოლდებიან სადღაც მთებს მოვშიან ნისლად, და კოსტაგორას გაღმა სწვავს სიხალღვე ცისა... გზები გასქვრებ ალმაროს, მუხთან თუ უნდათ მისვლა!

შოა რომ აიწყვეტს ბილიკს, მერე მოისვრის თავივე, ცხრაწყარო ზრის იქით, ბაკურიანი აქეთ... სადღაც კისკისებს ლილი, და ვქო აღის ცამდექ!

სადღაც კისკისებს ლილი, (რტომ თუ მოსტაყა კალთა...), ნაკოფი ფერგაცილილი მოჩანს იქვე და აქვე და მთავრად სიო გრილი — ამონასუნთქი მთათა!

ნეღლი ფერების ტალღა მთიდან გადააქვს მიმქროლს, საძვებს აწუხებს რაღაც და მთავრად ნაძვეზე ფიქრობს — ისევე ჩასცქერის დიდმაროს... ტყე კაცს საშველად იხმობს...

როგორც ამწყდარი ლილი, ისე ვარ შუა გზაზე... წაღვერს გაუქრთა ღიმი, თითქმის ღრუბული ასვეს... ხვრები ხვრის და ხივის — და ვფიქრობ ლამაზ ნაძვეზე.

კოსტაგორადან ჩანდა ჰავადა ატყორცნილ ისარს, იდგა, სიცოცხლის რწყავდა, გემწვლავდა ღუმლის ცისას, ბევრჯერ მინახავს მასთან ტკბილი ღიმილი ძმისა!

ღღეს თქვენთვის ვეძებ წამალს, გიშველით შეგძლებ რითაც... არცა მსმენია ამზად — ძმას არ სტკივოდეს ძმისა, ამ უკვდავების წყალმაც, მუდამ იდინოს მთიდან!


ოვია იგი, დიადი, ამაჟი და თავი-სუფალი, მოვიდა და უთხრა ადამიანს: „არა ოხვრისა და ცრემლებისათვის, არა ტირილისა და წყევლისათვის ხარ დახადებული, ადამიანო, არამედ სიხარულისა და ბედნიერებისათვის, წკრილა სიმღერისა და გულღია სიცილისათვის“.

ადამიანმაც დაამხვრია ბორკილები და სიხარულის ძებნა დაიწყო. მაშინ რაღა საკვირველია, თუ ახალი რუსეთი, ახალი მოქალაქე ესოდენ გატაცებით დაეწაფა დღესასწაულებს; მაგრამ ჩვენ, ადამიანებს, რომლებმაც ჩვენი მარჯვენით, ჩვენი გონებით და ცოდნით უნდა მოვიმოვოთ პური ჩვენი არსობისა, ნება არა გვაქვს მთელი დღეებით, კვირებითა და თვეებით ვიდგეთ ჭრელ საქარნავალო ბრბოში და არაფრის მაქნისები გიჟურად დავითვრეთ სიხარულით. არა, ჩვენ გვჭირდება სიხარული, გვჭირდება ბედნიერება, მაგრამ გვჭირდება პური, გვჭირდება სამუშაო. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როგორ შევუფარდეთ მუშაობა დღესასწაულს, მძიმე ოფლიანი მუშაობა — უფარდელ სიხარულს?... ან იქნებ ექიმის მკაცრი რეცეპტით მიქსტურის დოზებით უნდა ვსვათ სიხარული, ბიზნისურ წინასწარმეტყველთა აღთქმისამებრ ექვს დღეს ვიმუშაოთ, ხოლო მეშვიდედს კი — ვიცხოვროთ, ვიმხიარულოთ, ვიყოთ ბედნიერნი...

არა, სიხარული მუდამ ჩვენთან უნდა იყოს, ბედნიერება შრომის დროსაც უნდა გვიდომოდეს და ამის გამო ჩვენ უფრო უკეთ ვიმუშაოთ, უფრო დახეობითი ვიქნებით უკეთესი უროს. შეხედეთ ახალგაზრდა მჭედელს. თუ მის გვერდით ის ქალიშვილი დგას, რომელიც მას სიხარულს ანიჭებს, და ხელთ რკინის ზოლი უპყრია, — უნდა ნახოთ რა მონდომებით ურტყამს ამ რკინას, რა ბარაქანია მისი შრომა; შეხედეთ ყანის მომკვლელს. თუ მის გვერდით ძნებს ჰკრავს ის, ვინც მას უყვარს, — რანაირ ურთიერთშეჯობრ-შია მათი შრომა, და ჩვენც გვყავს, გვყავს ის მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც ჩვენს მუშაობაში გვერდით უნდა გვიდგეს, რომლის თვალშიც უნდა გვიდომოდეს, რომლის სიხარულს უნდა დავეწაფოთ.

მოდა, იმ ქალიშვილის სახელი, მთელი ხალხის იმ შეუვარებულის სახელი — ხელოვნებაა. მერე და რა მრავალსახოვანია იგი, — ეს მშვენიერი შეუვარებული: იგი — მუსიკაა, ფერწერაა, იგი — სიტყვაა, ცეკვაა, თეატრია. აი, რატომ გაუხსნა სიხარულს მონატარებულმა შრომებელმა ხალხმა ხელოვნების ადამიანებს თავისი სული და გული. იგი შორს იყო, შორს ამყოფებდნენ მისგან, ვისი ცოლიც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ხელოვნება შრომის მშვენიერი საპატარძლოა. მე იმ მრავალთაგანი ვარ, რომელთაც თქვენს პირველი კოცნა მიიღო და აი, თქვენს წინაშე დარცხვნილი ვდგავარ და ვამბობ: „მე თქვენ არ გიცნობთ; მე თქვენგან განზე ვოდებ, ჩვენს შორის ვიდაც იყო და ახლა, როცა პირისპირს შევხვდით, მივხვდი, რომ მიყვარხართ. მე თქვენ იმიტომ შემიყვარდით, რომ თქვენ ხელოვნება ვიყვართ...“

# საქართველო



## სიხარული

ხელოვნება სიხარულია, ხელოვნება ბედნიერებაა, ხელოვნება ეს საუვარელი ქალიშვილის დომიაა.

ახლა მსურს იმაზე ვილაპარაკო, თუ ვის როგორ სურდა ხელოვნების შექმნა. მე არ ვილაპარაკებ მის იმ ფორმებზე, რაზედაც აქ უკვე ითქვა. მე მსურს თეატრზე გემუხაფოთ.

უცნაური რამ დამართა თეატრს. ყველა ქვეყანაში თეატრი თვით ხალხმა შექმნა, შექმნა როგორც კოლექტიური შემოქმედება, როგორც ღვთისმსახურება, ვინაიდან პირველყოფილი მსახიობი, პირველყოფილი მსურველის მსგავსად, აქტიური მონაწილე იყო საღვთო რიტუალებსა. პირველყოფილ მსახიობსა და მსურველებს შორის ზღვარის გადგმა შეუძლებელია. მსახიობის სიტყვა უშუალოდ ერწყმოდ მსურველის რეაქციას, მსახიობის ხუმრობა ირგვლივ მყოფთა ხუმრობის გამოძახილი იყო და ხალხს მთავრდებოდა მსახიობი და ხალხი იწყებოდა მსურველი, ძნელი დასადგენი გახლდათ... შემდგომ, დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე წინ წამოწვას იწყებს სპეციალისტი-წარმომდგენი,

გაიერი, ხუმარა, კომედიანტი, მსახიობი და რაც უფრო მეტად უაღიბდება, მით უფრო შორს მიხუთავთ ის ხალხისგან, სწორედ იმისგან, ვისთანაც ადრე ორგანიზულად შედუღებული იყო... ახლად წარმოშობილი ფეოდალები, სულ უფრო და უფრო იმონებდნენ ხალხს, ართმევდნენ მას ცხოვრების ყოველგვარ სიკეთეს, მთელ სიხარულს: მათვე ხალხისგან წარიტაცეს მისი ძმაც — კომედიანტი, წართვეს მას თავისუფალი შემოქმედის უფლებანი და აქციეს პირმოთნე ლაქიად... ასე მთავრდება უძველესი თეატრი და იხსება დიდებულთა სასახლეების კარის თეატრი. ეს უკვე არა შრომის მშვენიერი თანამგზავრია, არა მისი შეუვარებული საპატარძლოა, არამედ დიდებულთა გასართობი. თეატრი ის ადგილი ხდება, სადაც უსაქმურობისაგან მოწყენილობას ჰკლავენ, ის ფავორიტთა თავშესაფარია. ასე იქმნება სამეფო თეატრები.

მაგრამ ახმარებზე გამოდის ცხოვრების ახალი მეფე — კაპიტალიზმი და, ცხოვრების სხვა სიკეთესთან ერთად, შემოსავლიან საგაქროს სახით, თეატრიც მიაქვს. იგი ქალაქებში აგებს თეატრს, აგებს სასახლეებს, მაგრამ ეს სასახლეები მართოდ მშვენიერ ციხეებს წარმოადგენენ, სადაც გამოწყვადული მხუთ ხალხის მშვენიერი შეყვარებული — თეატრია.

და აი, დაპყრა საათმა — ხალხი თავის უფლებებს იბრუნებს, უფლებებს ცხოვრებაზე, სიხარულზე და თავის საპატარძლოს — ხელოვნების დაბრუნებას თხოულობს; ახლა ჩვენს წინაშე იმის კითხვა: როგორი სახით უნდა გადავცეთ ხალხს იგი? როგორ შევადგოთ ცხოვრებისა და ხელოვნების განუყვებილი ჯაჭვი? რა გზებით დავუბრუნოთ ხალხს თავისი თეატრი, ის

თეატრი, სადაც ხალხი მართო მათურებელი კი არ იყო, არამედ ქმედობის მონაწილე? გასული საუკუნეების მანძილზე თეატრმა დახვეწა თავისი ტექნიკა, მიადგინა ოსტატობის მწვერვალებს, მაგრამ ხალხთან ორგანული კავშირი დაკარგა და მეშინია ვთქვა, რომ მან დგინა თვით თავისი არსიც — სიხარულიც დაკარგა. უკანასკნელი დროის თეატრი არასოდეს ყოფილა დღესასწაულად. რაც გნებავთ ყველაფერი იყო — ხან ნაღვლიანი უნებისყოფობის კერა, ხან ფსიქოლოგიური ძიებანი, ხან მონაწილე იდეების პროპაგანდისა და აგიტაციის არენა... ერთი სიტყვით; იგი ყველაფერი იყო, მაგრამ არ იყო სიხარული, არ იყო დღესასწაული. თეატრის აუდიტორია დღითიდღე ვიწროვდებოდა; თეატრი — ღია ცის ქვეშ, მოედნებზე, სიმღერასა და ცეკვებში, ხალხში დახადებული, გადართანეს ტაძრებში, იქიდან ციხე-დარბაზებსა და სასახლეებში, შემდეგ თეატრების საქალაქო შენობებში და ბოლოს, ჩაკეტეს სტუდიებში, სადაც წავიდა ყველა, ვინც ეძებდა თეატრის ჭეშმარიტ არსს. განა ეს არ გავიწყობთ რელიგიის გზას? ხალხში დახადებული, ქუროუმებმა ის წაიღეს მონატარებში, მონატარებშიდან დაუფლებულ ბერთა კუბოებივით ვიწრო საკნებსა თუ სავანებში. არა, სტუდიებმა კი არ უნდა იწოდებოდნენ ეს „განწყობილებათა“ პატარა თეატრები; არამედ სავანებმა. სტუდია — ეს თეატრი არ არის. ეს გახლავთ მართოდ დახორატირია იმ დაბინებობისთვის, რომლებიც ემუშაებიან ემსახურონ თეატრს... სულ თავდაპირველად თეატრი სტუდიებიდან კი არ მისულა ხალხთან, არამედ მოედნებიდან, იმ ადგილიდან, სადაც ის დაიხადა. მაგრამ ახლა იგი მძლავრად ჩამწყვედული თავის სასახლეებში, და მას არა მართო სოციალური წყობა აკავებდა ძალით იქ, ჩვენც გამოწყვადული გვყავდა, ჩვენ, თეატრში მომუშავე ადამიანებს. ამას წინათ, პირველი მაისის დღესასწაულის პროგრამის განხილვისას სახელოვნო კოლეგიაზე ერთმა ჩემმა ფიცხმა ამხანაგმა წარმო-სთქვა ფრაზა: „ამ დღეს ხელოვნება ქუჩაში უნდა გადავიხროდით...“ მე კი გავიჭირე, თუ რა აურაუროს ატეხნენ ინტელიგენტ-მსახიობებმა, როცა მათ ეტყვიან, რომ საჭიროა მოედნებზეც თამაში. ისე კი, მართალია რომ უნდა ვთქვა — სხვა გზა არ არის, თუკი ჩვენ გვსურს დავუბრუნოთ ხალხს თეატრი, თუკი გვსურს რომ შრომის სიხარული გადავცეთ. უნდა წავიდეთ იქ, სადაც შრომაა, მის გვერდით უნდა დავდგეთ, შრომას მისი საპატარძლო — ხელოვნება უნდა დავუბრუნოთ. მე თქვენ არ მოგიწოდებთ თეატრის პრინციპების დარღვევისაკენ. ჩვენი კლიმატის გამო ის ჩვენ გვჭირდება, მაგრამ ჩვენი მთავარი სამუშაო, ჩვენი მთავარი სეზონი უნდა იყოს მაშინ, როცა ჩვენთანაც ათობს და ანათებს მზე.

გამორჩენილი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი აღტაცებით მიესალმა ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციას და პირველი დღეებიდანვე ჩადგა ახალი ხელოვნების მშენებელთა მოწინავე რიგებში; ის ერთი პირველთაგანი იყო იმ დიდოსტატთა შორის, რომლებიც ამკვიდრებდნენ ახალ თეატრს. აღსანიშნავია, რომ მაშინ, გარდა საჯარო სპექტაკლებისა, ხშირად ეწყობოდა სამეფო წარმოდგენები როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. სპექტაკლების დაწყების წინ, გამორჩენილი თეატრალური მოღვაწენი გამოდიოდნენ მოსწენებელთა და ლექციებში ხელოვნების შესახებ. საგარაუდოა, რომ სწორედ მაშინ არის წარმოთქმული ეს სიტყვაც, რომელიც ნელნაწერის სახით ინახება საქართველოს სათეატრო მუზეუმის ნელნაწერთა ფონდში; მარჯანიშვილის ამ სიტყვაში წინა პლანზე წამოწულია ახალი სოციალისტური ესთეტიკის ფუძემდებელი პრინციპები — ხელოვნების დაბრუნება ხალხის წიაღში, მისი გადაქცევა სიხარულისა და ოპტიმიზმის დაუშრეტელ წყაროდ, მისი განუყრელი კავშირი შრომასთან; თეატრი — სიხარული უნდა იყოს — ეს იყო მარჯანიშვილის ესთეტიკის დედაპირი და სწორედ ეს არის სახეგამსული ამ სიტყვაშიც, სადაც თეატრის დიდი რეფორმატორი დეტალურად ჩერდება ხელოვნების იმ ამოცანებზე, რომლებსაც ახალი ეპოქა აყენებს მის წინაშე; აქვე იგი ლაპარაკობს თეატრის წარმოშობის შესახებ; ტექსტის გულდასმით გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ სიტყვა წარმოთქმულია სახალსო აუდიტორიის წინაშე და არა ხელოვანთა წრეში. აქ ორატორი პირისპირს მიმართავს და ელაპარაკება ხალხს. სხენებული სიტყვა, გარკვეული კუპირებით, დაბეჭდილი იყო, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მიერ შედგენილ კრებულში „კოტე მარჯანიშვილი“ (რუსულ ენაზე). ქართულ ენაზე იგი პირველად ქვეყნდება, სათაურად მას მივეცით ავტორისავე ფრაზა ამავე სიტყვიდან — „შრომის მშვენიერი საპატარძლო“, ასე უწოდებდა მარჯანიშვილი საერთოდ ხელოვნებას.

ნაზი ილიაშვილი



# შპს „მკაჯასია“

# ქვეყნის

საქართველო  
ბიზნისი

## საქართველო



### საქართველო ბრძანება

სიმატლეს სად გავეცდით, გამოტყობილად უნდა ვთქვათ, რომ ერთი მითად ცუდი ჩვეულება გვაქვს: ჩვენ ვიგინებით, გწუვებით და გკრულავთ ამ ქვეყნად უფლებას და უფლებებს.

ჩვენი საუფარდო სიტუაცია: „ჭირმა წაიღოს“, „ეშმაკმა დალაზროს“, „მაიმუნნი“, „მამაძალი“, „მოსასპობი“... დანარჩენების ციტირებას არ ვახდენ, თქვენ თვითონ გაიხსენეთ.

ჩვენ მართლაც გაბრაზების დროს კი არ ვიგინებით.

ვიგინებით აღფრთოვანების დროსაც:

— რა ლამაზი გოგონაა, ეშმაკმა დალაზროს!

გაკვირვების დროსაც:

— ჩინებულნი მუშაობენ, ცხე მიამუნნი მამაძალი!

სიხარულის დროსაც:

— მე კი პრემია მივიღე, შე მოსასპობო!

მდიდარი და მშვენიერია ჩვენი ენა. ჩვენ კი უხამსი სიტყვებით ვცდილობთ წავაბდინოთ და დავანაცვიანოთ იგი. საჭიროა ამ უხამსობასთან ბრძოლა და სწორედ ამ მიზნით უკვე დროა მოვაწყოთ ოპერაცია „გწ“ (ვიგინების წინააღმდეგ).

მეთოდი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. პირადად მე, ფულადი ჯარიმის მომხრე არა ვარ. ვინება ძვალ-რბილში გამჭადარი ჩვევაა და ჯარიმის დაწესებამ შეიძლება იქამდე მიიყვანოს საქმე, რომ ბევრმა ერთ დღეს შეიგინოს მთელი თვის ხელფასი.

თვის ბოლოს კი კაცმა შეიძლება ახეთ საუბარს მოკრახს ყური:

— თუ ძმა ხარ, მასებსე ცოტა ფული ერთი წუვილი „მამაძალისათვის“ და პირველი რიცხვის შემდეგ მოგცემ.

— ემ, ხადა მაქვს, შე თვითონაც ვაცდის. გამოვართვი ფული ერთი „შე მხეცო“-სა და ორი „შე მიამუნნი“-სათვის.

არა, საჭიროა სხვა მეთოდის გამოყენება; ამიტომ გიწვევთ უკვლავ: შეიძლება რომელიმე თქვენგანმა მოიფიქროს უფრო მარჯვე მეთოდი.

ჭრჭრებით კი გთავაზობთ განსახილველად ჩემს საკუთარ პროექტს. ისევე, როგორც ჩვენ ვცდილობთ არაუი შევცვალოთ მსუბუქი ღვინით, მლდი ვცადოთ და „მადლისშვილი“ რომელიმე უფრო სასიამოვნო, მხიარული და ღამაში სიტუაციით შევცვალოთ. მაგალითად, თუნდაც უკავილენების სახელებით. ჩემი პროექტი, მგონი, არ უნდა იყოს ცუდი. ამა დაუფიქრდით. მაშინ ასეთ საუბარს გაიგონებთ.

კინოთეატრის ხალაროსთან, რიგში:

— რას ჯიკობ, იასამანმა წავიღოს!

— შენ რაღას მაწვები, შე ლურჯ-თვალა ია!

— იაც ხარ და იის შვილიც!

დაწვებულების მისაღებ ოთახში:

— ოო, ზამბახი! დღეს მეხუთედ დამიბარა და მინც მომატუა, შროშანაც დასცემია თავზე!

მეგობრებს შორის:

— ეს მოპაკაია, ამ ბოლო დროს ისეთი ღიდილო ვახდა, რომ ატანა ჭირს!

— შენ გგონია, რომ შიპაკოვა უკეთესია? არც ის არის ნაკლები უაუარო ტრამვაიაში:

— გაიწი, რა, შე ნუშის უკავილო! დგას და აღარავის არ ატარებს, ეს ენძელა, ესა!

— შენ რაღას ფასონობ, თუ ტრამვაი გევიწროება, ტაქსით შეგიძლია წაბრძანდე, შე გვირილა!



— გვირილას ხმა მესმის, შე მართლა ბაღის არჩაქედო და ქირიანთემას შევილო!

— ექსანემ კი დაგლაზროს! შენთან ლაპარაკი არა ღირს...

მოდით დავიწყოთ ოპერაცია „გწ“.

მა, რას იტყვით? იქნებ ბოლოს მართლა ვადავჩვიოთ ვინებას, ეშმაკმა დალაზროს ის წყუული, ჭირმა წაიღოს ის მაიმუნის მოგონილი!

პოლონურიდან თარგმნა  
შოტა ამირანაშვილი



ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში ბინადრობს გველი რინგალი, რომელსაც შეუძლია 5 მეტრი მაძილიდან პირდაპირ თვალუბში შეაშხუფოს კაცს დამაბრმავებელი შხამი.

როგორც იამონელი და აგსტრალიელი მკვლევარები ამტკიცებენ, იმის მიზეზი, რომ საფოსტო მტრედების უმრავლესობა ფრენის დროს ჰაერგავს ორიენტაციას და შინ ვეღარ ბრუნდება, არის სატელევიზიო გადაცემათა სადგურები. როგორც ჩანს, ამ სადგურების გადაცემა ხელს უშლის მტრედებს გზის სწორად გაკვლევაში.

1249 წელს, როცა იტალიის დიდი ქალაქები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, ქ. ბოლონიის არმიის ერთი ჯარისკაცი ქ. მოდენას ჯარში გადავიდა და თან ცხენისათვის წყლის დასალევი ძველი მუხის გობი წაიღო. ბოლონიის ხელისუფალთ არ მოუთხოვიათ დეზერტრის გაკემა და დასჯა, მაგრამ მოითხოვეს უკან დაებრუნებიათ გობი, რომელიც ქალაქის საკუთრება იყო. მოდენის ამაყმა მმართველებმა უარი განაცხადეს ამაზე, და ქალაქებს შორის ატყდა ომი, რომელიც ოცდაორი წელიწადი გაგრძელდა და მრავალი ადამიანის სიცოცხლი და მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია. ამ სისხლისმღვრელი ომის მიზეზი — ძველი მუხის გობი დღემდე ინახება მოდენას ერთ-ერთ უძველეს კოშკში.

ინგლისის მეფე ჰენრი VI პირველი ბავშვი იყო, რომელმაც გამდგეს ოფიციალურად დართო უფლებას საჭირო შემთხვევაში გაეტყობა იგი. ჰენრი VI ტახტზე ავიდა 1422 წლის 1 სექტემბერს, როცა იგი ჯერ კიდევ ცხრა თვის იყო. მის პირველ სამეფო ბრძანებულებას წარმოადგენდა დეკრეტი, დამოწმებული დიდი თითის ანაბეჭდით, ომის შესახებ, რომ დაინიშნოს „ქალბატონი ალისა ბატლერი გენი; უდიდებულესობის გამდგლად, რათა იგი უზრუნველეს და უფლიდეს ჩვენს პირთვნებასა და დრო და დრო გონიერულად გვსაიდეს“.

ძველ სპარტაში, ხელისუფალთა განკარგულების თანახმად, ერთ-ერთ მოსულეს ევალებოდა დამოფრალიყო და ბარბაცით ეხეტიალა ქალაქის ქუჩებში, რათა ამით თვალსაჩინო გაკვეთილი მიეცა ახალგაზრდა მოქალაქეებისათვის — აი, რა ცუდია სიმთვრალე!

გარეკანის პირველ გვერდზე: სადღესასწაულო პლაკატი ნახატი დინარა ნოდისი და თენგიზ სამსონაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. | სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურშიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. | ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.


სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნიკური რედაქტორი დ. სუფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე. რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI-64 წ. გამომც. № 100, ჯად. ზომა 70x108/16, 1,5 ჯად. ფურც. ნახევდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირბით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 2928, უე 12107

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии  
საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

საქართველოს  
ფოტოარქივი



მ. ბუკიაძე

ფოტო თ. არაპაძისა



ИНДЕКС 76056



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმი“, სულ მალე მაყურებელს უჩვენებს ახალ მხატვრულ მუსიკალურ კინო-კომედიას „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

ფილმი შექმნილია ავქსენტის ცაგარელის პიესის მიხედვით.

სცენარის ავტორები არიან ნოდარ წულუკისკირი და მიხეილ ჭიაურელი, ოპერატორი დ. მარგივევი, მხატვარი — ს. ვაწაძე, კომპოზიტორი — რ. ლალიძე.

მთავარ როლებს ასრულებენ: სოფიო ჭიაურელი და გიორგი შენგელაია. ფილმში მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები — ვერიკო ანჯაფარაძე, აკ. ხორავა, ვასო გომიაშვილი; რესპუბლიკის სახალხო არტისტები — აკ. კვანტალიანი, მერი დავითაშვილი.

სურათზე: კადრები ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.